# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 18 აგვისტო 2007 №190 (3113) ფასი 50 თეთრი

# აბრეზ100!



ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ბომბარდირები:

| | | |
|---|---|---|
| 1. | ზურაბ იონანიძე | — 201 |
| 2. | ლევან ხომერიკი | — 132 |
| 3. | მიხეილ აშვეთია | — 121 |
| 4. | დავით ჯანაშია | — 120 |
| 5. | ზვიად ენდელაძე | — 112 |
| 6. | პაატა მაჭუტაძე | — 106 |
| 7. | ოთარ კორღალიძე | — 105 |
| 8. | გიორგი დარასელია | — 105 |
| 9. | მერაბ მეგრელაძე | — 104 |
| 10. | ივანე ჯუღელი | — 102 |
| 11. | დავით გოდერძიშვილი | — 102 |
| 12. | დავით მახარაძე | — 101 |
| 13. | მამუკა ხუნდაძე | — 100 |
| 14. | სულიკო დავითაშვილი | — 100 |



## ვინ არის ეს მეკარე?!

აზერბაიჯანმა თავი ქართველით დაიცვა

4



## დღეს დილმელაშვილი დინამოს შეხვდებაო...

4



## რატომ გაუშვით უილსონი?

6



## რაიმონ დომენეკი: ფაქტები იქნება!

9

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — I წრე. 2 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ზუგდიდში თურქ მგლებზე ალაპარაკდნენ
## პირველი მოგება ახალ სტადიონზე

ზუგდიდი. 17 აგვისტო. 17 საათი. ცენტრალური. 4 500 მაყურებელი

**მგლები 1:0 მერანი**

1:0 ქედია (13)

მგლები: ივარდავა, ექონია, მაჭავარიანი, ფარულავა, კაკაბაძე, ზ. ჯანაშია (გაბედავა 75), ჯოჯუა, ხუბუა, კრასოვსკი, ქედია (ბაკარაძე 46), ვართაგავა (კუტალია 74)
სათადარიგონი: ნურნუმია, ქირია, ხუხია, ტაბატაძე
მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

მერანი: თევდორაძე, ლოლაძე, თ. კობიაშვილი, გიგაური, სარალიძე, ტყეშელაშვილი, ლომაშვილი, ბ. ნოზაძე, ნიჟარიშვილი, ზ. ავალიანი (ქემაშვილი 61), გ. გოზაშვილი
სათადარიგონი: სეფიაშვილი, მგალობლიშვილი, კილასონია, ჯანგიძე, კობერიძე, ავალიანი
მწვრთნელი: თამაზ კოსტავა

გაფრთხილება: ჯანაშია (15), კობიაშვილი (23), ხუბუა (32), ნოზაძე (52), ჯოჯუა (67), კაკაბაძე (79), ექონია (87)

გაძევება: კობიაშვილი (72)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ნ. რუსიშვილი, კ. ბერაძე, ბ. ლომსაძე

**სოსო გულუა ზუგდიდიდან**

**ზუგდიდის** განახლებულ სტადიონზე დიდი ფეხბურთი დაბრუნდა. მართლაც სანაქებოდაა მოწყობილი როგორც ტრიბუნები, ასევე მინდორი, გასახდელები, საშხაპე და მსაჯთა ოთახი. მალე მოწესრიგდება პრესლოჟაც.

ასე რომ, კარგის მეტი არაფერი ითქმის როგორც სტადიონის დირექციის, ასევე სპონსორების მიმართ.

ოთხი ათასზე მეტი მაყურებლის თვალწინ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის თანხლებით გუნდების კაპიტნებმა, ზურაბ ავალიანმა და ზურაბ ექონიამ ქვეყნის დროშა აღმართეს.

მერე კი მატჩიც დაიწყო...

თავიდანვე ორმხრივი იერიშები ვნახეთ, ყოველგვარი დაზვერვისა თუ „შესავლის" გარეშე. ერთხანს მოედანზე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა, შემდეგ კი თანდათან „მგლების" უპირატესობა გამოიკვეთა.

მე-8 წუთზე გოლის გატანის პირველი შანსი გაუშვა ხელიდან გელა ხუბუამ. მალე კარს მცირე მანძილით ასცდა ჯოჯუას დარტყმული...

რომ იტყვიან, გოლი მომწიფდა და მე-13 წუთზე უმაღლეს ლიგაში პირველი ზუგდიდური გოლი გიორგი ქედიამ შეაგდო — 1:0.

„მგლების" იერიშები არც ამის შემდეგ შენელებულა. კარგი მომენტები გაანიავეს იმავე ქედიამ, კრასოვსკიმ და ჯოჯუამ, რომელიც მართლაც რომ გუნდის სული და გული იყო და დაიმსახურა კიდეც შეხვედრის საუკეთესო მოთამაშის პრიზი.

მეორე ნახევარში თამაში უფრო დაიძაბა, იმატა უხეშობამაც და მსაჯმა შეიდჯერ ამოიღო ჯიბიდან ბარათი, აქედან ერთხელ წითელი: 72-ე წუთზე მსაჯთან შელაპარაკებისთვის მოედნიდან მერნელი კობიაშვილი გააძევეს.

პრაქტიკულად, უშეცდომოდ ითამაშა „მგლების" დაცვამ, რასაც ვერ ვიტყვით ნახევარდაცვაზე, აქ უფრო „მერნის" მოთამაშეები ყოჩაღობდნენ.

თამაშის ბოლოს „მერანმა" რამდენიმე მწვავე კონტრიერიში განახორციელა, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, „მგლების" დაცვა მაგრად იდგა.

1:0 — ასე დასრულდა ეს მართლაც საინტერესო მატჩი.

ბესიკ შეროზია: მადლობას ვუხდი ჩემს ბიჭებს. უახლოეს ხანში რამდენიმე თურქ ფეხბურთელს გავსინჯავთ და თუ დაგვაკმაყოფილებს მათი დონე, კონტრაქტსაც გავუფორმებთ.

# აუწყობელი წყვილი
## სპარტაკმა და ბორჯომმა დროის სიმცირე დაიჩივლეს

გორი. 17 აგვისტო. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 100 მაყურებელი

**სპარტაკი 0:0 ბორჯომი**

სპარტაკი: კოდალაევი, კეტაშვილი, ხაჭიპერაძე, პარამონოვი, მამუკაშვილი, ხიდეშელი (ივანიშვილი 65), თ. თარხნიშვილი, ჩირიკაშვილი, ბახტურიძე, ჯანელიძე (ძარია 62), დარბაიძე (მედოევი 52)
სათადარიგონი: ქვილითაია, გოგოხია, ცქვიტაია, ტატაევი
მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი

ბორჯომი: შეყილაძე, თ. ღონღაძე, ლ. ქელიძე, ლ. მერებაშვილი, აკობია, მემარნიშვილი, კ. ხანიშვილი (დევიძე 79), ნერგაძე, ბაბუნაშვილი (თედიაშვილი 89), შ. გრიგალაშვილი, ყველაშვილი (შ. ჯიქია 64)
სათადარიგონი: ასაბაშვილი, ლომიძე, გოგიჩაიშვილი, ქარქოზაშვილი
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

გაფრთხილება: მერებაშვილი (3), მემარნიშვილი (62)

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ი. უკლება, ა. კოკაია, მ. ბეუქლიშვილი

დამკვირვებელი: ო. კორღალიძე

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**მატჩი** არცთუ საინტერესო გამოდგა, რადგან ორივე გუნდს აშკარად ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში არიან და უამრავ შეცდომას უშვებდნენ. ამას დაერთო ძლიერი წვიმაც, რამაც კიდევ უფრო გააძნელა უზუსტო პასები.

მე-3 წუთზე შოთა გრიგალაშვილის შეცდომის შემდეგ, დარბაიძე პირისპირ გადიოდა ბორჯომელთა მეკარესთან, მაგრამ მერებაშვილმა ხელით შეაჩერა — ირაკლი ჩირიკაშვილმა ჯარიმა არაზუსტად დაარტყა.

თავიდან „სპარტაკის" უპირატესობა გამოიკვეთა. ცხინვალელები აქტიურად თამაშობდნენ მოედნის ცენტრში და ფლანგებიდან ცდილობდნენ შეტევას, მაგრამ სტუმართა დაცვა ყურადღებით თამაშობდა.

თანდათან „ბორჯომმაც" ააწყო თამაში, ტაიმის შუიდან „სპარტაკის" უპირატესობა გაქრა და მატჩი ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა, თუმცა სახიფათო მომენტები თითქმის არ შექმნილა.

ტაიმიც ისე გაილია, რომ საინტერესო არაფერი მომხდარა.

შესვენების შემდეგ უკვე „ბორჯომმა" იგდო ხელთ ინიციატივა და ახლა „სპარტაკს" მოუხდა შეტევების მოგერიება.

50-ე წუთზე ბორჯომელმა ლაშა ჭელიძემ შორიდან ძლიერად დაარტყა „სპარტაკის" კარში — ბესიკ კოდალაევმა სველი ბურთი ცუდად მოიგერია და გიორგი ნერგაძე ვალდებული იყო, ანგარიში გაეხსნა, რადგან თითქმის ცარიელ კარში ურტყამდა, მაგრამ მეკარემ თავისივე შეცდომა გამოასწორა და განმეორებითი ნახტომით განმუხტა სიტუაცია.

ორიოდ წუთში კვლავ ბორჯომელებმა შეუტიეს სახიფათოდ — შოთა ბაბუნაშვილის დარტყმული ბურთი „სპარტაკის" კარის ჯვარედინს მოხვდა.

ცოტა ხანში „სპარტაკმაც" გამოიფხიზლა და შეცვლაზე შესულმა ზაზა მედოევმა 67-ე წუთზე სახიფათო საჯარიმო დაარტყა — ბურთი მცველისგან აიჭრა ბექა შეყრილაძემ ბოლოწამს მოიგერია.

81-ე წუთზე კი „სპარტაკის" კარი სასწაულით გადაურჩა გოლს — ფლანგზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი შოთა ჯიქია პირისპირ გავიდა კოდალაევთან, მაგრამ მეკარემ დარტყმული მოიგერია; დამატებაზე ბურთი კვლავ ჯიქიასთან აღმოჩნდა, მანაც ზუსტად გადააწოდა ცარიელი კარის წინ მდგომ ნერგაძეს და... გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ ბორჯომელმა „მოახერხა" და, ბურთი კარს გადააცილა.

მატჩის ბოლოს „სპარტაკმაც" შეასრულა სახიფათო ჯარიმა, მაგრამ შეყრილაძემ იმარჯვა...

ეს იყო და ეს.

### პრესკონფერენცია

ვლადიმერ ხაჩიძე: ახალშეკრებილები ვართ და აქედან გამომდინარე, თამაშის ხარისხზე ლაპარაკიც ზედმეტია. საერთოდ კი, „ქართული ფეხბურთი" ვითამაშეთ.

კობა ჟორჟიკაშვილი: გუნდის შექმნის დრო ჩვენც ცოტა გვქონდა. ბიჭები ახლა ეცნობიან ერთმანეთს, ახალგაზრდები არიან და შეცდომებიც მათი გამოუცდელობის ბრალია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| მესხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ამერი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| დილა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| მგლები | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ზესტაფონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მერანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| ოლიმპი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### გერმანია
ბუნდესლიგა. II ტური
კარლსრუე 1:2 ჰანოვერი
II ბუნდესლიგა. II ტური
ფრაიბურგი 1:0 პადერბორნი
კობლენცი 2:1 აუგსბურგი
ვეჰენი 1:1 ოსნაბრუკი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა IV ტური
ბრაუნშვაიგი 1:3 ბაბელსბერგი
სამხრეთ რეგიონალლიგა IV ტური
მიუნხენი (მ) 2:1 კარლსრუე (მ)
კიკერსი 1:1 ზიგენი

### საფრანგეთი
II დივიზიონი. IV ტური
ანჟერი 1:0 აიაჩო
ბასტია 1:0 გენიონი
შატორუ 2:0 ლიბურნი
კლერმონი 1:0 ბრესტი
გენგამი 4:2 ბულონი
რეიმსი 3:1 ნიორი
სედანი 0:1 დიჟონი
ამიენი 1:2 გლენობლი
მონპელიე 3:0 ტრუა

### ჰოლანდია
ერედივიზიონი. I ტური
ჰერენვენი 0:0 ტილბურგი
I დივიზიონი. II ტური
ემენი 3:3 აპელდორნი
დენ ბოსხი 4:1 ალმერე
დორდრეხტი 1:1 ოსი
ზვოლე 3:3 ეინდჰოვენი
სიტარდი 0:1 ვოლენდამი
ვალვაიკი 6:3 კამბური
ვეენდამი 0:0 მაასტრიხი

### პოლონეთი
I ლიგა. IV ტური
ლკს 0:1 ლეგია
გურნიკი 1:0 რუხი

### რუმინეთი
I ლიგა. IV ტური
უნირეა 4:1 ტიმიშოარა
პოლიტეჰნიკა 3:0 გლორია

### ბელგია
იუპილერლიგა. III ტური
ბრიუგე 3:2 სენტ ტრუიდენი

### პორტუგალია
სუპერლიგა. I ტური
სპორტინგი 4:1 აკადემიკა

### ავსტრია
მაქსბუნდესლიგა. VII ტური
ალტახი 4:1 პაშინგი
I დივიზიონი. V ტური
აუსტრია (მ) 2:2 პარნდორფი
ლუსტენაუ 4:0 კერნტენი
კაპფენბერგი 1:1 ზალცბურგი (მ)
შვანენშტადტი 1:1 ლეობენი
აუზე 0:0 გრატკორნი

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა. VI ტური
კონკორდია 2:2 ვინტერთური
ვადუცი 5:1 სერვეტი

### თურქეთი
სუპერლიგა. II ტური
ოფტას 0:2 ტრაბზონი

### ირლანდია
თასი. III ეტაპი
ბრეი 1:2 სტ. პატრიკსი
კორკი 5:1 კილკენი
ლიმერიკი 1:1 დუგლასი
უოტერფორდი 1:1 სლიგო

### უკრაინა
ვიშა ლიგა. VI ტური
ვორსკლა 2:1 არსენალი

### ხორვატია
NHL. V ტური
ინტერი 2:2 შიბენიკი

### უნგრეთი
ბორსოდილიგა. V ტური
მტკ 3:2 დებრეცენი

### სერბეთი
სუპერლიგა. II ტური
ოფკ 2:0 ვორაცი

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 2 ტური

# ამერის ათვლის წერტილი მეორე ტური გამოდგა


ბადრი ქეთილაძის ფოტო

დიმიტრი ტატანაშვილის გამთანაბრებელი

თბილისი. 17 აგვისტო. 17.15 საათი. ამერი. 250 მაყურებელი

**ამერი 3:2 დილა**

0:1 სადალაშვილი (26), 1:1 ტატანაშვილი (30), 2:1 ჩიკვილაძე (38), 3:1 დავითაშვილი (56), 3:2 ჩიტაია (68)

| | |
|---|---|
| ამერი: ლ. ნადირაშვილი, დიდავა, დავითნიძე, დ. მჭედლიშვილი (კობაური 46), ჩიკვილაძე, დოლიძე, ბოლქვაძე (დობროვოლსკი 70), დეკანოსიძე, ჯელაძე, ს. დავითაშვილი, ტატანაშვილი (რ. გოცირიძე 67) სათადარიგონი: ქვაჩახია, ა. ალავიძე, ბ. ცხადაძე, კაკაშვილი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | დილა: თ. ილურიძე, მასურაშვილი (ბ. ჩიტაია 46), ზ. ლაცაბიძე, ხანიშვილი, ბალაშვილი, სადალაშვილი, ტლაშაძე, ბალიაშვილი, შატაკიშვილი, სულთანიშვილი (შერმადინი 65), სამადაშვილი სათადარიგონი: კეჩხუაშვილი, იჩქითი, ლომიძე, თაყაძე მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე |

გაფრთხილება: კობაური (51), ხანიშვილი (61), ჩიკვილაძე (68), გოცირიძე (78), შატაკიშვილი (88)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, გ. ჩიგოგიძე, ზ. ბერულავა, თ. გვანცელაძე

დამკვირვებელი: ნ. კაკულია

კობა ინასარიძე

**ჩემპიონობის** ერთ-ერთმა უპირველესმა ფავორიტმა თბილისის „ამერმა" გუშინ პირველი სამი ქულა მოიპოვა და ცხრათვიან მარათონს შეუდგა.

პირველ ტურში სტუმრად „ლოკომოტივთან" სენსაციურად წაგების (1:2) შემდეგ „დილასთან" მატჩში „ყვითლებისგან" ბევრი, ცხადია, შთამბეჭდავ მოგებას ელოდა, მაგრამ ასე არ მოხდა — მასპინძლებმა მინიმალური სხვაობით იმარჯვეს და თამაშის ბოლოსკენ ცოტა ინერვიულეს კიდეც.

„ლოკომოტივთან" შეხვედრისგან განსხვავებით, ამერელთა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ „დილასთან" ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად ოთხი ახალი ფეხბურთელი ათამაშა — მეკარე ლადო ნადირაშვილი, მცველები დავით მჭედლიშვილი და თენგიზ ჩიკვილაძე და ნახევარმცველი გრიგოლ დოლიძე, ხოლო სტუმართა თავკაცმა მამუკა ვარდოსანიძემ „ბათუმთან" მოგებულ შემადგენლობაში ერთი ცვლილება გააკეთა — თავდამსხმელ ბექა ჩიტაიას ნაცვლად მარჯვენა მცველი ლაშა ტლაშაძე დააყენა. გორელთა მწვრთნელის ასეთი გადაწყვეტილება მოგვიანებით გახდა ცნობილი: ნამატჩევ პრესკონფერენციაზე ვარდოსანიძემ თქვა კონტრშეტევებზე თამაში გვქონდა ჩაფიქრებული და სწრაფი ამერელების წინააღმდეგ დაცვას მეტი ყურადღება დავუთმეთო.

მართლაც, მატჩი ამერელებმა სწრაფად და აქტიურად დაიწყეს და ბურთს მეტოქის ნახევარზე აკონტროლებდნენ და თუ საწყის ათ წუთში თამაზ ილურიძის კართან მასპინძლებმა ალსანიშნი ვერაფერი შექმნეს, მერე მომენტს მომენტი მიაყოლეს და გორელებს ბევრი საფიქრალი გაუჩინეს.

ჯერ იყო დოლიძის თავური, რომელიც ტრიბუნებზე მსხდომთ და მოედანზე მყოფებსაც გოლი რომ ეგონათ, დიმიტრი ტატანაშვილს ზედ კარის ხაზზე ფეხზე მოხვდა და ძელს მიღმა გადაგორდა. მერე სულიკო დავითაშვილს მიეცა ორი შანსი — ამერელთა ფორვარდმა ილურიძეს ჯერ ძლიერად დაურტყა, ცოტა ხანში ტექნიკურად, მაგრამ არცერთხელ გაუმართლა, რამდენიმე წუთში კი ტატანაშვილს გაუცუდდა ხელსაყრელი მომენტი — მისი თავური კარს ასცდა. ხოლო „დილა" თბილისელთა კართან კუთხურს გამორჩა და პირველივე ცდაზე დაწინაურდა: კუთხურიდან საბა სულთანიშვილის მუხლის სიმაღლეზე ჩაწოდებულ ბურთს ნიკოლოზ სადალაშვილმა „ბაჩოკი" ჰაერშივე მიაყოლა და თავისიანებიც დააწინაურა.

ცხადია, გორელებმა ძლიერ გაიხარეს, მაგრამ ეს სიხარული მალევე, 4 წუთში გაუნელდათ. „ამერის" საპასუხო გოლი მართლაც რომ მშვენიერი იყო, ხოლო დავითაშვილის პასი ლამაზიც და ეფექტიანიც: „ამერის" შემტევის ქუსლური გორელი მცველებისთვის გამოუცნობი გამოდგა, „დილას" მთელი დაცვის ხაზი უსაქმოდ დარჩა, სამაგიეროდ კი, საჯარიმოში ფლანგიდან შეჭრილ დოლიძეს მიეცა ასისტენტობის შანსი, რომელიც კარგად გამოიყენა, ბურთი კარის წინ ტატანაშვილს დაუგორა და მანაც ახლოდან უპრობლემოდ გაიტანა.

გაცვლილმა გოლებმა მეტოქეები ერთი-ორი წუთით დააწყნარა, მერე კი „ამერმა" სტუმრებს მეთოდურად ისევ შეუტია და შესვენებაზე დაწინაურებული გავიდა. მარცხნიდან გიზო ჯელაძის ჩაწოდებულს შორეულ ძელთან თენგიზ ჩიკვილაძე დახვდა, მცველზე მაღლა ახტა და ახლო კუთხეში გაიტანა — 2:1.

შესვენებაზე ვარდოსანიძემ საქმეში ჩიტაია ჩართო, გუნდს კი ალბათ შეტევებისას მეტი სითამამე მოსთხოვა. მეორე ტაიმში „დილა" მართლაც უფრო დამუხტული და აგრესიული ჩანდა. სტუმრები ნადირაშვილის კარისკენაც ხშირად მიიწევდნენ, მაგრამ საგოლედ ხეირიანს ვერაფერს აკეთებდნენ ამასობაში 56-ე წუთიც დადგა, „ამერისთვის" ერთი, მორიგი გოლის დრო, ხოლო სულიკო დავითაშვილისთვის ისტორიული: ამ ფეხბურთელმა გუშინ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მე-100 გოლი გაიტანა და ქართველ ასიანთა ამქარს შეუერთდა. გოლხვავიან „აბრეზას" ეს ამბავი მაშინვე მიკროფონითაც მიულოცეს, მოედანზეც და ტრიბუნიდანაც... მატჩის შემდეგ კი „ამერის" გენერალურმა მენეჯერმა ვახტანგ ბზიკაძემ მას კლუბის სახელით მოედანზე სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცა. ამერელთა მილოცვას ჩვენ დიდი სიამოვნებით ვუერთდებით და ერთი ამდენის გატანასაც ვუსურვებთ.

დავითაშვილის მესამე კი ამ შეხვედრაში „ამერისთვის" მესამე გამოდგა. ორბურთიანი სხვაობის შემდეგ თბილისელებმა საქმეც, ეტყობა, მოთავებულად ჩათვალეს, ტემპს უკლეს, მოდუნდნენ და საქმეც სანერვიულოდ გაიხადეს. ანგარიშში სხვაობა სწორედ შეცვლაზე შესულმა ჩიტაიამ შეამცირა — მარჯვენა ფლანგზე სადალაშვილი რამდენიმე ამერელს დაუსხლტა და კარის გასწვრივ დაბალზე ჩააწოდა. საჯარიმოში კი ორი გორელი უმეთვალყურეოდ დარჩენილიყო. ჩაწოდებულ ბურთს ჯერ ზურაბ შერმადინმა დაარტყა, ნადირაშვილმა ეს მოიგერია, მაგრამ იქვე მყოფი ჩიტაიას დარტყმულს ველარაფერი მოუხერხა — 3:2.

გოლით შეგულიანებული „დილა" კი კიდევ უფრო გააქტიურდა. სტუმრებს თამაშის გადარჩენის იმედი გაუცოცხლდათ. დარჩენილი ოცი წუთი „დილა" ძალიან მონდომებული, ბრძოლისუნარიანი იყო, მაგრამ თავს ზემოთ ძალა აღარ ეყოთ...


ბადრი ქეთილაძის ფოტო

გრიგოლ დოლიძე გორელ მცველებში

## პრესკონფერენცია

მამუკა ვარდოსანიძე: თამაში კონტრშეტევაზე ავაწყეთ და თავიდან ჩვენთვის ყველაფერი კარგად დაიწყო. დავწინაურდით, მაგრამ შემდეგ მცველების უხეშმა შეცდომებმა ეს უპირატესობა დაგვაკარგვინა...

...მეორე ტაიმში დასაკარგი აღარაფერი გვქონდა და შეტევები გავახშირეთ. სამწუხაროდ, მაინც წავაგეთ. ვფიქრობ, კარგი თამაში გამოვიდა და „ამერმაც" დამსახურებულად მოიგო. ჩვენ კი მომავალი მატჩებისთვის ალბათ გავძლიერდებით, რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას ვაპირებთ.

გიორგი ჩიხრაძე: გორელთა პირველ გოლამდე რამდენიმე კარგი მომენტი გავანიავეთ. აქცენტი ფლანგურ შეტევებზე გვქონდა. ორბურთიანი სხვაობის შემდეგ კი „ამერის" ფეხბურთელები მოდუნდნენ და მეტოქემაც ისარგებლა. „დილამ" მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა...

...ჩემპიონატის პირველ მატჩთან შედარებით დღეს განსხვავებული შემადგენლობით ვითამაშეთ. „ამერში" დიდი კონკურენციაა და რამდენიმე ფეხბურთელს თავის გამოჩენის საშუალება მივეცით.


ბადრი ქეთილაძის ფოტო

## კიდევ ბევრს გავიტან!

გუშინ ამერელმა სულიკო დავითაშვილმა გორის „დილასთან" მატჩში მეასე უმაღლესლიგური გოლი შეაგდო და მეთოთხმეტე ფეხბურთელი გახდა, რომლებმაც ამ ზღვარს უწიეს... მატჩის შემდეგ დავითაშვილს წარმატებაც მივულოცეთ და ინტერვიუც ვთხოვეთ...

— გახსოვს, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში პირველი გოლი ვისთან გაიტანე?

— როგორ არ მახსოვს: „მერანი-91" უმაღლესი ლიგის სადებიუტო მატჩში „კოლხეთს" ხვდებოდა და ორი გოლი გავუტანე ფოთელებს.

— კარიერაში ყველა ლამაზ გოლად რომელს მიიჩნევ?

— პირველ ლიგაში, „მერანში" ვთამაშობდი და ბოლნისის „სიონს" ვხვდებოდით. ბურთი მივიღე, გზად ხუთი ბოლნისელი მოვატყუე და მეკარეს თავზე გადავუგდე — მართლა ძალიან ლამაზი გოლი გამომივიდა.

— თავდამსხმელს კარგი პასის მიმცემი თუ არ ჰყავს, ბევრ გოლს ვერ გაიტანს. შენს საუკეთესო პარტნიორად ვის მიიჩნევ?

— ბევრ გუნდში მითამაშია და ყველგან იყვნენ ასეთები. ისე კი, მე და დავით ბოლქვაძე თითქმის ბავშვობიდან ერთად მოვდივართ და ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებთ.

— ჩაფიქრებული ხომ არა გაქვს, კიდევ რამდენი გოლის გატანას აპირებ?

— მინდა, კიდევ ბევრი გავიტანო და, რაც მთავარია, ჩემი გოლებით „ამერს" წარმატებების მიღწევაში დავეხმარო.

ნუკრი ლოლაძე

## ამხანაგური მატჩი

რუსთავი. 17 აგვისტო. 12 საათი. ფოლადი. 200 მაყურებელი

საქართველო U19 0:1 აზერბაიჯანი U19

0:1 სულთანოვი (29)

საქართველო: დგებუაძე, ქვრივიშვილი, შონია, ვაჩიბერიძე, ჩარგეიშვილი, მაისურაძე, ჯოხაძე (კვანტალიანი 46), ლვინიაშვილი, ბეგლარიშვილი (ხოკერაშვილი 49), წულაძე

მწვრთნელი: ჰაინც ტოპმიოლერი

აზერბაიჯანი: საგიდოვი (ცერცვაძე 12), ქარიმოვი, რაჰიმოვი, ვაჰაბზადე (მუსტაფაევი 20), ჯაბრაილოვი, მამადოვი, ჯავადოვი (აჰმადოვი 70), ჰაჯიევი (გულიევი 40, ახვერდიევი 63), ალიევი (შიკიევი 87), ალმამედოვი (ბორამალი 84), სულთანოვი

მწვრთნელი: არიფ ასადოვი

გაფრთხილება: ჯაბრაილოვი (80)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; შ. კუხილავა, ბ. ჭიჭინაძე

# ვინ არის ეს მეკარე?!

## აზერბაიჯანმა თავი ქართველით დაიცვა

**ცხონებული** ნოდარ ახალკაცი ამბობდა, თურქეთში სეზონისწინა შეკრებაზე იმიტომ არ მივდივართ, რომ იქ ამხარაგურ მატჩს ვერავის ვეთამაშებით, იმდენად დაბალი დონეაო. სამწუხაროდ, ის დრო წარსულს ჩაბარდა. დღეს თურქებს კი არა, მათ ლინგვისტურ ბიძაშვილ აზერბაიჯანელებსაც ვერ მოუგებ მეორე შემადგენლობით.

აზერბაიჯანის 19-წლამდელთა ნაკრებმა სამ დღეში ორი თამაში გაუმართა საქართველოს და ერთში გამარჯვებაც კი დასტყუა. ჯერ კიდევ პირველი თამაშის დროს იყო საუბარი, რომ ქართველების მწვრთნელმა ჰაინც ტოპმიოლერმა ვერ შეკრიბა მთლად სასურველი შემადგენლობა. 15 აგვისტოს მისმა გუნდმა ის თამაში მაინც დამაჯერებლად მოიგო — 3:1. აი, ორი დღის შემდეგ კი იმ მატჩის რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი (თარგამაძე, ყენია, ფანცხავა, გაბუნია) მოაკლდათ ქართველებს და მიუხედავად იმისა, რომ 90 წუთიდან 80 თუ არა, 70-ის განმავლობაში მაინც აკონტროლებდნენ ბურთს, გოლის გატანა ვერ მოახერხეს. პირიქით, გაუშვეს და მეტოქე ახეირეს.

ქართველებმა აქტიურად დაიწყეს და პირველივე წუთზე ფლანგური გარღვევის შემდეგ კუთხური მოიპოვეს. მერეც მთელ თამაშში მასპინძლები აკონტროლებდნენ ბურთს. ცენტრში მოქმედებდა თამაზ ჩარგეიშვილი, რომელიც პასებით ამარაგებდა ფლანგელებს, წინ კი რევაზ წულაძე ცდილობდა მცველების დაბნევას. ტოპმიოლერის შეგირდები ქართული მონდომებით არ ცდილობდნენ აზერბაიჯანელების მეკარიანად მოტყუებას, როგორც კი კართან მეტ-ნაკლებად საპატიო მანძილზე აღმოჩნდებოდნენ, ურტყამდნენ, თუმც მეკარისთვის რამე განსაკუთრებით უხერხული დარტყმა არ შეუსრულებიათ.

ქართველები უტევდნენ, გოლი კი აზერებმა გაიტანეს — სტუმართა ერთ-ერთი უიშვიათესი შეტევისას ჩაწოდებული დაბალი ბურთი ბაჰტიარ სულთანოვმა უპრობლემოდ მიიღო და ისე დაარტყა, ქართველთა ცენტრალურმა მცველებმა რეაგირება ვერ მოასწრეს.

მაგრამ მანამდე მოხდა ერთი საგულისხმო რამ — მე-12 წუთზე აზერთა მეკარე ელჩინ სადიგოვი გარღვევაზე გასულ ქართველ მოიერიშეს ფეხებში ჩაუვარდა და თავისი სახიფათო ვითარება განმუხტა, ოღონდ სახეში აუტანელი დარტყმის ფასად. ექიმები კარგახანს ცდილობდნენ მის ფეხზე დაყენებას, მაგრამ ვერ შეძლეს, ბოლოს კი, რაკი მოედანზე საკაცე ვერ მოიძებნა, სადიგოვი თანაგუნდელებმა გამოიყვანეს მოედნიდან.

სტუმართა მწვრთნელ არიფ ასადოვს ექვსი სათადარიგო მოთამაშე ჰყავდა და მატჩის მსვლელობისას ექვსივე შეუშვა მოედანზე, მაგრამ ამათ შორის არ იყო მეკარე. ამიტომ ამ შეხვედრის ამხანაგურობის გათვალისწინებით, ქართველებმა აზერბაიჯანელებს თავიანთი მეკარე ათხოვეს.

და ჩადგა სტუმართა კარში ავთანდილ ცერცვაძე! ერთმა ახალგამომცხვარმა თანაგუნდელმა უთხრა, აბა, შენ იციო, არიფ ასადოვმაც მხარზე დაჰკრა ხელი, თუმც ცერცვაძეს გამხნევება არც სჭირდებოდა, იგი ამხნევებდა სტუმართა მცველებს. თავი მოიკლა და, თანამემამულეებს გოლი არ გაატანინა.

ცერცვაძემ კი აიღო რამდენიმე ბურთი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვით და ქართველთა დარტყმულებს ზოგჯერ სიზუსტე, უფრო კი სიძლიერე აკლდათ. მასპინძლებს თითქმის არ შეუქმნიათ 100-პროცენტიანი საგოლე მომენტი. მხოლოდ ერთადერთხელ, შეხვედრის ბოლო წუთზე, რევაზ ლვინიაშვილი დარჩა ცერცვაძის პირისპირ, მაგრამ დარტყმა დაახანა და დაკარგა კიდეც შანსი.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ესპანეთმა ადგილი თქვა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრები 11 სექტემბერს ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგ შეხვედრას გამართავს — პეტარ სეგრტის გუნდი ესპანეთს სტუმრად დაუპირისპირდება.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, ეს მატჩი ქალაქ ალმუნეკარში ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ 5 ივნისს საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლა ესპანელ თანატოლებს და 0:1 დამარცხდა. 22 აგვისტოს კი სტუმრად პოლონეთს ეთამაშება

**ბაჩა შალამბერიძე**

# დღეს დიღმელაშვილი დინამოს შეხვდება?!



**გუშინწინ** თბილისის „დინამომ“ ნამეტანი უსუსურად ითამაშა უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში ვენის „რაპიდთან“ და 0:3 დამარცხდა.

თამაშამდე რამდენიმე წუთით ადრე 18-კაციანი განაცხადიდან ამოშლილ გუნდის კაპიტან დავით დიღმელაშვილზე მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა თქვა, არანაირი კონფლიქტი არ მქონია, უბრალოდ, იგი თამაშის წინ მოვიდა და მითხრა, შეუძლოდ ვარო და ამიტომაც არ იყო განაცხადშიო.

არადა, ჩვენ აბსოლუტურად სხვა რამ გავიგეთ, რაც გუშინდელ „სარბიელში“ დავწერეთ: დიღმელაშვილს და უჰრინს ურთიერთობა წაუხდათ და...

გუნდის კაპიტანს და ლიდერს თავისი გვარი ძირითად შემადგენლობაში რომ ვერ აღმოუჩინია, უკმაყოფილება გამოუხატავს და სტადიონიც დაუტოვებია.

როგორც შევიტყვეთ, დღეს „დინამოს“ ხელმძღვანელებს და დავით დიღმელაშვილს ამ ყველაფრის თაობაზე შეხვედრა აქვთ დაგეგმილი.

**ლუკა თალაკვაძე**

# ორი გიორგი ჭელიძე ზესტაფონში

## ალბათ დავრჩები, თუმცა გავარკვევ

**სავარაუდოდ,** „ზესტაფონში“ ორი გიორგი ჭელიძე ითამაშებს. ფორვარდი, ნოდარის ძე ჭელიძე ახალი ჩარიცხულია გუნდში, ნახევარმცველი, ნუგზარის ძე კი უკვე ორი წელია, „ზესტაფონშია“, მაგრამ კუშტანის „ტობოლთან“ ინტერტოტოს თასის მატჩის შემდეგ გუნდს გამოაკლდა — არც თურქულ შეკრებაზე გაჰყვა ფეროელებს და არც ჩემპიონატის პირველ ტურში გამოჩენილა.

ლაპარაკი იყო, ჭელიძე გუნდს იცვლისო, თუმც გუშინ რომ შევეხმიანეთ, ასე გვითხრა, მოქმედი კონტრაქტი მაქვს „ზესტაფონთან“, თანაც მალე სატრანსფერო ფანჯარა იხურება და ძნელია სადმე წასვლაზე ფიქრიო.

„ახლა ვმკურნალობ. „ტობოლთან“ თამაშის შემდეგ ფეხი მაწუხებს. დაახლოებით ხუთ დღეში მოვრჩები და ვარჯიშს დავიწყებ. ალბათ, „ზესტაფონში“ ვითამაშებ, თუმცა ჯერ მაინც გავარკვევ სიტუაციას“.

ჭელიძეს ისიც ვკითხეთ, რაიმე კონფლიქტი ხომ არ მოსვლია „ზესტაფონში“, რაც უარყო...

**ილია ნანობაშვილი**

# კიკნაძის იმედი იმედაძეა

**საქართველოს** ჩემპიონატი დაიწყო და მწვრთნელებმაც თვალნათლივ დაინახეს თავიანთი გუნდების ხარვეზები. ამიტომ ცდილობენ, სანამ სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება, მათთვის სასურველი მოთამაშეები დაიმატონ.

ერთი ასეთი ტრანსფერი „ლოკომოტივმა“ გაჩარხა — ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელი გრიგოლ იმედაძე ამიერიდან გიორგი კიკნაძის გუნდში ითამაშებს.

როგორც კიკნაძემ გვითხრა, იმედაძე უკვე განაცხადშიც შეყვანილია და, შესაძლოა, დღესვე ვიხილოთ მოედანზე.

შეგახსენებთ, რომ იმედაძეს „ლოკომოტივამდე“ „ტორპედოს“ გარდა „ზესტაფონშიც“ უთამაშია, უცხოეთში კი ორი გუნდი გამოიცვალა: ვლადიკავკაზის „ალანია“ და სიმფეროპოლის „ტავრია“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მუჯირი ტარხანოვმა აღადგინა

**სამარის** „კრილია სოვეტოვს“ მწვრთნელი რომ შეეცვალა, გეცოდინებათ. ახალდანიშნული მწვრთნელი ალექსანდრ ტარხანოვი კი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ქართველ შემტევ დავით მუჯირს მიიჩნევს.

„მუჯირი გამოკვეთილი ფიგურაა. როდესაც ქართველი ფეხბურთელი თამაშობს, მოედანზე მეტი გონებაა“ — განაცხადა ტარხანოვმა.

გეხსომებათ, სერგეი ობორინის მწვრთნელობისას მუჯირს სათამაშო დრო აკლდა და უნდობლობის გამო ქართველმა ფეხბურთელმა კაპიტნობა დათმო, თუმც ტარხანოვის მისვლის შემდეგ, ჩანს, სამკლავურს ისევ მუმუ ჩაიბარებს.

„ვფიქრობ, „კრილიას“ კაპიტანი ისეთი ფეხბურთელი უნდა იყოს, ვინც გუნდის ლიდერია. ასეთები კი მეტიუ ბუტი და დავით მუჯირი არიან. კაპიტნად ალბათ მუჯირი დარჩება“ — დასძინა ტარხანოვმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გიგიაძეს ბურთი აბრაზებს



**უკრაინის** ჩემპიონატის ხუთი ტური მიილია და ახტირსკის „ნეფტიანიკს“ გოლის გემო ჯერ არ გაუგია. არადა, უმაღლესი ლიგის დებიუტანტს თავდასხმაში ერთ-ერთი ბომბარდირი ვასილ გიგიაძე ჰყავს.

„გუნდი ჯერ ისევ შეუთამაშებელია და ფორმას ნელ-ნელა ვიკრებთ. საკმაოდ ბევრ მომენტს ვქმნით, თითქოს მეტოქეს ვჯობივართ, შედეგი კი არ ჩანს“ — განაცხადა გიგიაძემ.

ქართველმა ფეხბურთელებმა კომენტარი თავის უგოლო სერიაზეც გააკეთა: „როდის გავიტან, წინასწარ ამის თქმა ძნელია. ბოლო დროს საშინლად არ მიმართლებს, თითქოს ყველაფერს კარგად ვაკეთებ, მაგრამ ბურთი ჯიუტად არ შედის კარში.“

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გოგუას თერაპია გამოუწერეს

**რამენსკოეს** „სატურნმა“ ღია ვარჯიში გამართა, თუმც ქართველ ფეხბურთელ გოგიტა გოგუას გარეშე.

გეხსომებათ, გოგუამ მენისკის ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ მალევე განაახლა ვარჯიში და ძირითად გუნდსაც შეუერთდა. როგორც ჩანს, ჩვენებური სრულად ჯერაც ვერ გამოჯანმრთელდა, რადგან, კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გოგუა ისევ სამედიცინო გამოკვლევაზე გაემგზავრა.

„გოგუას სერიოზული ტკივილი არ აწუხებს, ამიტომ თერაპიულად უმკურნალებენ“ — წერს ვებგვერდი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# უეფას თასი 2007-08



ლეო ფრანკომ „ატლეტიკოს" კარი გოლისგან იხსნა

# ქეცბაიას ჭკვიანი ანართოსისი
## ვინ ისროლა ქვა?

**მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები**

**ზლატე მორავცე (სლოვაკეთი) 0:2 ზენიტი (რუსეთი)**
0:1 პაგენი (38), 0:2 იონოვი (90)

**ლოკომოტივი (სოფია, ბულგარეთი) 3:1 ოცელული (რუმინეთი)**
1:0 დავჩევი (19), 2:0 ბალდოვალიევი (62), 2:1 სემეგინი (74), 3:1 ძლასი (84)

**კლუჟი (რუმინეთი) 1:3 ანართოსისი (კვიპროსი)**
0:1 ზლოგარი (42), 0:2 ბოავენტურა (49), 0:3 სოსინი (60), 1:3 ტრიკა (70პ)

**რაბოტნიჩკი (მაკედონია) 0:0 პარტიზანი (სერბეთი)**

**სლავენი (ხორვატია) 1:2 გალათასარაი (თურქეთი)**
1:0 პოსავეცი (13პ), 1:1 აკმანი (42), 1:2 იამანი (72)

**ლეირია (პორტუგალია) 0:0 მაკაბი (ნეთანია, ისრაელი)**

**ჰაიდუკი (ხორვატია) 0:1 სამპდორია (იტალია)**
0:1 კამპანარო (44)

**ბესა (ალბანეთი) 0:3 ლიტექსი (ბულგარეთი)**
0:1, 0:2 პოპოვი (13, 20), 0:3 ბეტო (32)

**მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 1:1 ერზჯიესი (თურქეთი)**
0:1 ოზბაი (5), 1:1 კამანანი (42)

**ატლეტიკო (ესპანეთი) 3:0 ვოივოდინა (სერბეთი)**
1:0 როდრიგესი (36), 2:0 ფორლანი (61), 3:0 აგერო (70)

**შიროკი ბრიეგი (ბოსნია) 0:3 ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)**
0:1 აბდაჯი (14), 0:2 ასულინი (32), სანტოსი (74)

**ომონია (კვიპროსი) 1:1 ცსკა (სოფია, ბულგარეთი)**
0:1 ნეი (1), 1:1 კაიაფასი (14)

**ბაზელი (შვეიცარია) 2:1 მატერსბურგი (ავსტრია)**
0:1 ნაკატა (20ს.კ.), 1:1 ერგიჩი (24), 2:1 საისედო (54)

**რიდი (ავსტრია) 1:1 სიონი (შვეიცარია)**
1:0 დოხპელი (68), 1:1 საბორიო (90)

**მიკა (სომხეთი) 2:1 არტმედია (სლოვაკეთი)**
1:0 შახგელდიანი (8), 1:1 ფოდრეკი (66), 2:1 ალექსი (80)

**დნიპრო (უკრაინა) 1:1 ბელხატუვი (პოლონეთი)**
0:1 უიეკი (16), 1:1 ნაზარენკო (80)

**ჰონვედი (უნგრეთი) 0:0 ჰამბურგი (გერმანია)**

**იანგ ბოისი (შვეიცარია) 1:1 ლანსი (საფრანგეთი)**
1:0 ტიაგო (70), 1:1 მონტერუბიო (74)

**ტობოლი (ყაზახეთი) 0:1 გროცლინი (პოლონეთი)**
0:1 მუჟალიკი (2)

**აუსტრია (ავსტრია) 4:3 იაბლონეცი (ჩეხეთი)**
1:0 ერტლი (9), 2:0 კულიჩი (21), 2:1, 2:2 ზელენკა (28, 35), 3:2 ლასნიკი (47), 4:2 კულიჩი (66), 4:3 ბარანეკი (76)

**მიუპა (ფინეთი) 0:1 ბლექბერნი (ინგლისი)**
0:1 სანტა კრუზი (5)

**დროჰედა (ირლანდია) 1:1 ჰელსინგბორგი (შვედეთი)**
0:1 ლარსონი (34), 1:1 ზაიედი (54)

**მეტალურგსი (ლატვია) 3:2 აიკ (შვედეთი)**
1:0 კარლსონსი (12), 2:0 ოვანოვსი (44), 2:1 ივანოვსი (49ს.კ.), 2:2 ვალდემარინი (61), 3:2 ტამოსაუსკასი (80)

**ჰიკ (ფინეთი) 2:1 ოლბორგი (დანია)**
1:0 სამურა (15), 1:1 რისგერდი (37), 2:1 სამურა (55)

**ეკრანასი (ლიტვა) 1:1 ვოლერენგა (ნორვეგია)**
1:0 პოგრებანი (45პ), 1:1 სანტოსი (77)

**დანფერმლაინი (შოტლანდია) 1:1 ჰეკენი (შვედეთი)**
1:0 ჰამილტონი (1), 1:1 ჰენრიკსონი (57)

**ბრანი (ნორვეგია) 2:1 სუდუვა (ლიტვა)**
1:0 ბიორნსონი (24), 2:0 ვინტერსი (48), 2:1 ნიგრეიროსი (56პ)

**ჰაკა (ფინეთი) 1:2 მიდტიულანდი (დანია)**
0:1, 0:2 კრისტენსენი (13, 43), 1:2 პარვიაინენი (50)

**დინამო (მინსკი, ბელარუსი) 1:1 ოდენსე (დანია)**
1:0 პუტილო (73), 1:1 ლაურსენი (90)

**კაერიენგი (ლუქსემბურგი) 0:3 სტანდარდი (ბელგია)**
0:1 მბოკანი (58), 0:2, 0:3 ვიტსელი (80, 85)

**ჰამარბი (შვედეთი) 2:1 ფრედრიქსტადი (ნორვეგია)**
1:0 გუარა (35), 2:0 კასტრო-ტელო (51), 2:1 კვისვიკი (75)

**თემურ ქეცბაიას** „ანართოსისმა" 18 წუთში 3 გოლი გაუტანა „კლუჟს" და ცალი ფეხით მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზეა. წინაზე კვიპროსულმა გუნდმა მაკედონიის თასის მფლობელი „ვარდარი" ორჯერ (1:0, 1:0) დაამარცხა.

„კარგად, ჭკვიანურად ვითამაშეთ და ჩვენი ძალა გამოჩნდა — თქვა მწვრთნელმა ქეცბაიამ — დღესაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ იოლი მატჩები არ არსებობს. დარწმუნებული ვარ, საპასუხო შეხვედრა უფრო რთული იქნება, მართალია, ორბურთიანი სხვაობით მოვიგეთ, მაგრამ საქმე ჯერ დამთავრებული არაა და შინ უნდა დავასრულოთ".

„აპოელივით" და „ომონიასავით" სახელოვანი ვერაა, თუმც „ანართოსისის" ისტორიაშიც მოიძებნება ხმაურიანი გამარჯვებები. ფამაგუსტელებს „ბილბაო", „ლიერსი" და „რეინჯერსი" დაუმარცხებიათ. 2005-ში კი „ტრაბზონსფორს" სძლიეს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე.

ბოსნიაში „შიროკი ბრიაგისა" და თელ ავივის „ჰაპოელის" მატჩში კი მთავარ როლში პოლიცია იყო. სტუმარმა აბდაჯიმ მე-14 წუთზე გახსნა ანგარიში და „ჰაპოელის" ფანებმა სიხარული მაშხალების სროლით აღნიშნეს. მათ ცეცხლი გაუხსნეს სამართალდამცავებსაც და მასპინძელთა ქომაგებსაც. მაშხალები მოედანზეც გადაყარეს და თამაში 15 წუთით შეწყდა.

განახლების შემდეგ „ჰაპოელმა" კიდევ ორი გაიტანა და ამდენივე სტუმარი ფანი პოლიციამ დააკავა. ერთ-ერთმა ისრაელელმა ფორმიანს ქვა ესროლა და ამიტომ წააბრძანეს განყოფილებაში დამქაშთან ერთად. ისინი დააჯარიმეს და გაათავისუფლეს. ისრაელის პრესამ დაწერა, რომ სტადიონზე ნაცისტური ლოზუნგები ისმოდა, რაც პოლიციის პრესმდივანმა დამირ კუტურამ უარყო.

შვიდწლიანი განშორების შემდეგ უეფას თასზე ითამაშა მადრიდის „ატლეტიკომ" და გულშემატკივრები გაახარა. ხავიერ აგირემ შეტევაში სერხიო აგერო და დიეგო ფორლანი ათამაშა, რომლებსაც დებიუტანტი სიმაო საბროსა მაქსი როდრიგესთან ერთად ეხმარებოდა. ოთხიდან სამმა გოლი გაიტანა. ფორლანმა მე-13 წუთზევე შეაგდო, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალეს. ტაიმის მიწურულს კი აგეროს პასით მაქსიმ ანგარიში გახსნა. მეორე ნახევრის დასაწყისში სტუმრებს მილუტინოვიჩი გაუძევეს და ათკაცა „ვოივოდინამ" კიდევ ორი გოლი გაუშვა. ჯერ მანიშეს დარტყმული მიუვიდა ფორლანს და ურუგვაელმა გაიტანა, მერე კი ფორლანის პასით აგერომ შეაგდო.

40 წლის წინ ჩემპიონთა თასის მეორე რაუნდში „ვოივოდინამ" დაიფრინა „ატლეტიკო". შურისძიების დრო გვიან, მაგრამ მაინც მოუვიდათ მადრიდელ „ათლეტებს".

იუბილარმა როკე სანტა კრუზმა (26-ის შესრულდა) დაბადების დღე „მიუპას" კარში გატანილი გოლით აღნიშნა. მე-6 წუთზე დაწინაურდა „ბლექბერნი" პარაგვაელის ცაციით და ამას მერე არც ერთ კართან არაფერი შექმნილა. სანტა კრუზი კი ჯერჯერობით ამართლებს, „ბაიერნიდან" ნაყიდმა ფორვარდმა ზედიზედ ორ მატჩში გაიტანა.

„სამპდორიას" მწვრთნელი ვალტერ მაცარი კი კმაყოფილია „ჰაიდუკთან" გამარჯვებით. უგო კამპანარო შეცვლაზე შევიდა და უმალ გოლი შეაგდო, თან ქუსლით.

„ძალიან ბედნიერი ვარ — ხარობდა მაცარი — დარწმუნებული ვარ, ეს პირველი მოგებაა იტალიური გუნდისა სპლიტში".

არანაკლებ გახარებული იყო „სამპდორიას" მეკარე ლუკა კასტელაცი, რადგან მასპინძლებმა მისი კარის ჩარჩოს ბურთი სამჯერ გაარტყეს.

„ისიც მნიშვნელოვანია, რომ გოლი არ გავუშვით — თქვა კასტელოციმ — ძალიან რთულია ხორვატიაში თამაში, მით უმეტეს, გადაჭედილი ტრიბუნების წინ, მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ უკეთესი გუნდი ვართ".

მსგავსი არაფერი არ მინახავსო — გაიკვირვა „დნიპროს" მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა.

„მთელი შეხვედრის განმავლობაში უპირატესობა ჩვენი იყო, მეტოქე მისსავე საჯარიმოში მოვამწყვდიეთ, მეორე ტაიმში ბურთს პირდაპირ ჩვენ გვაბარებდნენ, უბრალოდ, იშორებდნენ, მაგრამ მაინც ძლივს გავუტანეთ ერთი გოლი".

„დნიპრო" მე-16 წუთიდან აგებდა „ბელხატუვთან" და მასპინძელთა ლიდერმა სერგეი ნაზარენკომ ბოლოსლა მოახერხა გათანაბრება. ამ მატჩამდე უკრაინულმა კლუბმა ზედიზედ ხუთი შეხვედრა მოიგო და პროტასოვს პრესკონფერენციაზე ჰკითხეს, გუნდი ხომ არ გადაიღალაო, რაზეც მან მიუგო: „რა შუაშია დაღლა, ჩვენ რა, არ დავრბოდით მოედანზე, თუ ხელით გვატარებდა ვინმე?!"

**ვაჟა ხუციშვილი**

## ასმილიონიანი ფლავიო

**მომავალ კვირას ფლავიო** ბრიატორე, შესაძლოა, ქპრ-ის მფლობელი გახდეს.

ფორმულა 1-ის „რენოს" საჯინიბოს პატრონი, 57 წლის ბიზნესმენი 22 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებს „ქუინზ პარკ რეინჯერსის" შესაძენად.

კლუბი ვალშია ჩაფლული და მაშველს ელის. ბრიატორემ თუ შეიძინა კლუბი, მომდევნო სამ წელიწადში 100 მილიონ გირვანქას დახარჯავს.

## ჩაქუჩმა კაჭკაჭი იყიდა

**„ვესტ ჰემმა"** ოფიციალურად დაადასტურა, რომ „ნიუკასლიდან" კირონ დაიერი იყიდა.

ინგლისის ნაკრების ნახევარმცველს ნიუკასლში ცხოვრება აღარ სურდა და ლონდონისკენ იწევდა.

„ჩაქუჩებმა" ორი კვირის წინ შესთავაზეს „კაჭკაჭებს" ექვსი მილიონი გირვანქა და უარი მიიღეს, რადგან გამყიდველს ფასი ეცოტავა, ახლა კი მორიგდნენ.

## რიკელმე დაბრუნდა

**„ვილიარეალიდან"** „ბოკა ხუნიორსში" განათხოვრებული ხუან რომან რიკელმე ესპანეთში დაბრუნდა. „ბოკაში" იგი ამ წლის დასაწყისში გაუშვეს და „ლიბერტადორესის" თასი მოიგო.

რიკელმეს არგენტინის ნაკრებშიც უხმო ალფიო ბასილემ და „კოპა ამერიკაზე" ათამაშა.

„ვილიარეალმა" ფეხბურთელის სანაცვლოდ ბოკელებს 10 მილიონი ევრო სთხოვა, მაგრამ არგენტინულ კლუბს ეს თანხა ეძვირა, ამიტომაც დააბრუნა ესპანეთში.

„ვიცი, რომ „ვილიარეალმა" ტრანსფერზე დამაყენა და თუ ჩემი მყიდველი გამოჩნდება, მეც ვიხეირებ და „ვილიარეალიც" — თქვა 29 წლის შემტევმა ნახევარმცველმა.

## რაფაელი ტოტენჰემმაც გაამხილა

**„სანის"** ცნობით, რაფაელ ვან დერ ვაარტის შეძენა „ტოტენჰემსაც" მოუნდა.

გერმანული „ჰამბურგის" ჰოლანდიელი ნახევარმცველის გადაბირება ცოტა ხნის წინ ესპანურ „ვალენსიამ" სცადა 14 მილიონ ევროდ, მაგრამ გერმანულმა კლუბმა იუარა, არადა, თავად ფეხბურთელს „ვალენსიაში" გადასვლა სურს.

გარდა ამისა, „ტოტენჰემი" „პორტსმუთიდან" მეტიუ ტეილორის და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონიდან" კერტის დევისის ყიდვასაც აპირებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



# რატომ გაუშვით უილსონი?

**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელებმა ბოლო ათი წელიწადი მარცხენა გარემარბის წარუმატებელ ძებნაში გაატარეს და ეს პოზიცია ამ ქვეყანაში ნიადაგ პრობლემურად ითვლებოდა, თუმცა გუნდის დღევანდელი თავკაცი სტივ მაკლარენი საკითხს სხვა მხრიდან უყურებს. ის ამტკიცებს, რომ ჩვეულებრივი კი არა, დიდებული მარცხენა გარემარბი მთელი ამ ხნის განმავლობაში პირდაპირ მათ ცხვირწინ იყო. მეტიც, ინგლისელთა დღევანდელი თავკაცი გაოცებასაა, როგორ გაუშვა ხელიდან ეს საუცხოო ფეხბურთელი მთელმა ქვეყანამ — საუბარია... რაიან გიგზზე.

„ვისაც ვინ უნდა, ის დაასახელოს, პირადად მე კი მხოლოდ ერთ სახელს ვიტყოდი: რაიან გიგზი. ჩვენ მისი შესრულებით უამრავი დიდი მატჩი გვინახავს, არადა, ის ბავშვობაში ხომ ინგლისის ნაკრებში გამოდიოდა. საიდან გახდა გიგზი უელსელი? როგორ გარდაისახა? მარცხენა ფრთაზე გიგზი რომ გვყოლოდა, გასულ წლებში ვინ იცის, რამდენ პრობლემას გადავჭრიდით".

თუმცა ახლა მაკლარენის ვიშვიში უკვე ძალიან გვიანია — გიგზმა მთელი კარიერა უელსის ნაკრების ფეხბურთელად განვლო და სადაცაა, ფეხბურთის თამაშს თავს დაანებებს.

ხოლო, ვინც არ იცის, თუ რატომ გახდა ინგლისელი გიგზი უელსელი, მოკლედ ვეტყვით, რომ როდესაც მისი მშობლები წაიჩხუბნენ და ოჯახი დაანგრიეს, რაიანმა უელსელი დედის მხარე დაიჭირა და გვარიც კი მისი მიიღო, თორემ მას გვარი უილსონი აქვს.

აი, ასეთი ძველი ამბავი ამოქექა სტივ მაკლარენმა. ამას ახლა, ბუნებრივია, არაფერი ეშველება, აი, დევიდ ბექემის გამოძახებით კი ინგლისის ნაკრებს იქნებ ძალა მართლაც მიემატოს.

„დევიდ ბექემი ყოველთვის ფავორიტია და თუ ის ისე ითამაშებს, ბრაზილიასა და ესტონეთთან რომ ითამაშა, ინგლისის ნაკრებს უდიდესი ძალა შეემატება — დასძინა მაკლარენმა — საერთოდ, ჩვენ ჩინებული ფეხბურთელები გვყავს, რომლებიც გუნდურად უნდა ავამოქმედოთ. მატჩებს და შეჯიბრებებს მხოლოდ ერთსულოვანი გუნდებით იგებენ".

**ბაჩუნა ძიდია**

# ადრეა, მაგრამ ოთხია

**„ჩელსის"** ფორვარდმა დიდიე დროგბამ „მანჩესტერ იუნაიტედის" ბოსტანში კენჭი ისროლა — ორ ტურში უკვე ოთხქულიანი [illegible] გაქვთო, თუმცა მას ისიც კარგად მოეხსენება, რომ ეს უპირატესობა ჯერ არაფერს ნიშნავს.

მოგეხსენებათ, ჟოზე მაურინიუს ბიჭებმა პრემიერლიგა ორი გამარჯვებით დაიწყეს, მანჩესტერელებმა კი პირველი და მეორე თამაში ფრედ დაასრულეს.

„ლივერპული" და „არსენალი"? მათ თამაშით ნაკლები აქვთ.

29 წლის სპილოსძვლისნაპირელმა თქვა: „დღევანდელი უპირატესობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩემპიონატი გრძელი გზაა და ამ გზაზე ყველა მოსაკრები ქულა უნდა მოკრიბო...

...მეორე ტურში სტუმრად გავიმარჯვეთ, სტუმრად გამარჯვება კი ძალიან კარგია. ჩვენ უნდა ვცადოთ, სტუმრად მთელი სეზონის განმავლობაში ძლიერად ვითამაშოთ და, რაც შეიძლება, მეტი ქულა მოვიპოვოთ. თუ ეს მოვახერხეთ, შესაძლოა, ცხრილის სათავეში დავრჩეთ...

...გასულ სეზონში, ნოემბერი იყო თუ დეკემბერი, შვიდი ქულით ჩამოვრჩებოდით ლიდერს. ერთი სიტყვით, ახლა ჩვენ მხოლოდ საკუთარ თამაშზე გვმართებს ყურადღებისა და ძალთა მოკრება...

...რასაკვირველია, დღეს იმის თქმა, რომ რაკილა ორი ტურის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედს" ოთხი ქულით ვუსწრებთ, ჩემპიონები გავხდებით, არ შეიძლება, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ შარშან ჩემპიონები რომ ვერ გავხდით, ძალიან ცუდი იყო და წლეულს აუცილებლად გვინდა ტიტულის მოპოვება".

**ბაჩუნა ძიდია**



| II ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| კარლსრუე | : | ჰანოვერი |
| **დღეს** | | |
| შალკე | : | დორტმუნდი |
| ვერდერი | : | ბაიერნი |
| ჰერტა | : | შტუტგარტი |
| არმინია | : | აინტრახტი |
| ჰანზა | : | ნიურნბერგი |
| დუისბურგი | : | ვოლფსბურგი |
| **ხვალ** | | |
| კოტბუსი | : | ბოხუმი |
| ჰამბურგი | : | ლევერკუზენი |

## გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

# თავში არ აგივარდეთ!

**მიროსლავ კლოზეს** ბრალია, რომ „ვერდერი" — „ბაიერნი" ოდნავ დაჩრდილავს 84-ე რურულ დერბის „შალკესა" და „დორტმუნდს" შორის. გერმანიის ნაკრების ფორვარდი ამ ზაფხულს გადავიდა „ბაიერნში" და დღეს პირველად ითამაშებს ბრემენში ახალი კლუბის ფორმით. ჯერ კიდევ ივლისში, ლიგის თასის მატჩში, „მუსიკოსების" ფანებმა უსტვინეს კლოზეს და ალბათ დღესაც გამოუჭედავენ ყურებს.

„არ ვნერვიულობ იმაზე მეტად, როგორც ნებისმიერი სხვა მატჩის წინ ვინერვიულებდი — თქვა კლოზემ — ჩემი საქმეა გოლის გატანა და „ვერდერთანაც" ამას ვეცდები".

„ბაიერნის" შეფმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ მისი კლუბი და „ვერდერი" სიტყვიერი ომის გაჩაღებას არ აპირებენ თამაშის წინ.

„ვიცი, ეს ადვილი მატჩი არ იქნება მიროსთვის, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თამაშის დამთავრების შემდეგ უფრო ძლიერი ადამიანი გახდება. ასეთი მატჩები ცხოვრების გაკვეთილია და ბევრს რამეს გასწავლის" — ბრძანა რუმენიგემ.

მსგავს ვითარებაში აღმოჩნდა „შტუტგარტის" თურქი ლეგიონერი ილდირაი ბაშთურქიც, რომელსაც ბერლინში ყოფილი კლუბის, „ჰერტას" წინააღმდეგ თამაში მოუწევს.

დავუბრუნდეთ მთავარ მატჩს — „ბაიერნს" მარცხენა მცველი მარსელ იანსენი დააკლდება, „ვერდერს" კი ტორსტენ ფრინგსი, ტიმ ბოროვსკი, პიერ ვომე, პატრიკ ოვომოიელა და აარონ ჰუნტი ვერ დაეხმარებიან.

— „ჰანზასთან" გამარჯვებით დავიწყეთ ჩემპიონატი, მაგრამ ერთი მატჩის შემდეგ ჯილდო არ მოგვიგია — აღნიშნა რუმენიგემ — ვიცით, რომ კარგი გუნდი გვყავს, თუმცა ყველა ფეხბურთელს ვაფრთხილებ, თავში არ აუვარდეთ".

„შალკეს" ფანები შურისძიებას ელიან თავისი გუნდისგან, რომელსაც „დორტმუნდმა" გასული სეზონის ბოლოსწინა ტურში მოუგო და ჩემპიონობა დააკარგვინა. დორტმუნდელებმა ერთი კვირის წინ შინ „დუისბურგთან" მოულოდნელად წააგეს, ხოლო „შალკემ" ქულა წაიღო შტუტგარტიდან.

„დუისბურგის" ნიგერიელ ფორვარდ მანასე იშიაკუს ბუნდესლიგის დაწყებამდე მეგობრისთვის უთქვამს, ისე ვნერვიულობ, შეიძლება ჩავიფსაო, მაგრამ გავიდა მოედანზე და პირველივე მატჩში „დორტმუნდს" ორი გოლი გაუტანა. სწორედ იშიაკუს დევნა მოუწევთ „ვოლფსბურგის" მცველებს, რომლებმაც „არმინიასთან" სამი გოლი გაუშვეს.

„ჰამბურგის" ნახევარმცველი კოლინ ბენჯამინი „ლივერკუზენთან" ხვალინდელ შეხვედრასაც გამოტოვებს და კიდევ ექვსი კვირა ვერ ითამაშებს, რადგან ვარჯიშზე დაშავდა. მცირე ტრავმა მიიღო რაფაელ ვან დერ ვაარტმაც „ჰონვედთან" უეფას თასის მატჩში, მაგრამ ჰოლანდიელი სახვალიოდ მზად იქნება.

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | | | | | | | | | | | | | | | | | 3:0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 2 | არმინია | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 3 | დუისბურგი | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 4 | კარლსრუე | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 5 | აინტრახტი | | | | | | | | | | | | | | 1:0 | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 6 | ჰამბურგი | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 7 | შტუტგარტი | | | | | | | | | | 2:2 | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 8 | ბოხუმი | | | | | | | | | 2:2 | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 9 | ვერდერი | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 10 | შალკე | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 11 | ლევერკუზენი | | | | | | | | | | | | 0:0 | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 12 | კოტბუსი | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 13 | ჰანოვერი | | | | | | 0:1 | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 14 | ჰერტა | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 15 | დორტმუნდი | | | 1:3 | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 16 | ვოლფსბურგი | | 1:3 | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 17 | ნიურნბერგი | | | | 0:2 | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 18 | ჰანზა | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

# ჩამოასხი, ერთიც უნდა დავლიოთ!



**სვენ** გორან ერიქსონი ალექს ფერგიუსონთან უთანხმოებას 415-გირვანქიანი წითელი ღვინის საფასურად აგვარებს.

რაო? რაო?

რა და ის, რომ ხვალ, კვირას, მანჩესტერული დერბია — „იუნაიტედი“ „სიტის“ ხვდება. და იცით, როგორ მოიქცა ამ მატჩის წინ „სიტის“ თავკაცი შვედი ერიქსონი? როგორ და, ზემოხსენებულ ფასად ერთი ბოთლი „კაბერნე სუვინიონი“ იყიდა, რომელსაც, სავარაუდოდ, ფეგიუსონთან ერთად დალევს.

„ჩემსა და ალექსს შორის პრობლემა არ არის. დიახ, მე რომ ნაკრების მწვრთნელი ვიყავი, მთელ რიგ საკითხებზე, მით უფრო კი, ამხანაგურ შეხვედრებსა და ფეხბურთელების გამოძახებაზე სხვადასხვა შეხედულება გვქონდა, მაგრამ უამრავჯერ ერთადაც გვისადილია, ასე რომ, ჩვენს შორის დაძაბული ურთიერთობა არ არის“.

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ თანაქალაქელებთან შეხვედრას მთლად კარგი განწყობით ვერ ხვდება — ფერგიუსონის გუნდმა პრემიერლიგაში ორი თამაში ჩაატარა და ორივე მხოლოდ და მხოლოდ ფრედ ითამაშა, რასაც უეინ რუნის ტრავმა და კრიშტიანუ რონალდუს დისკვალიფიკაცია ემატება. მეტოქის ასეთი მდგომარეობა ერიქსონს, წესით, უნდა უხაროდეს, მაგრამ შვედი, ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა, ასე ბრძანებს:

„ამ ორი ფეხბურთელის არყოფნა ძალიან სამწუხაროა, რადგან მაყურებელს მოედანზე საუკეთესოთა ხილვა სურს. რაც შეეხება „იუნაიტედის“ დასუსტებას, ამ გუნდს იმდენი სხვა ფეხბურთელი ჰყავს, რომ ასეთი რამ არ ემუქრება“.

თუმცა, სჯობს, ისევ ღვინოს დავუბრუნდეთ, რადგან ხსენებულმა „კაბერნე სუვინიონმა“ სვენი ფერგისა და ჟოზე მაურინიუს კომპანიაში ჩაწერა.

ერიქსონის მავანი მეგობარი, რომელმაც ჟურნალისტებს ღვინის ამბავი უამბო: „ფერგის და ჟოზეს ერთმანეთის წინაშე თავის მოწონება უყვართ. შარშან ჟოზემ 200-გირვანქიანი პორტუგალიური ღვინო დაალევინა ალექსს, ახლა მათ კომპანიას სვენიც შეუერთდება“.

და ბოლოს, მანჩესტერულ დერბიში „სიტიმ“ ბოლოს 29 წლის წინ არ წააგო — 1978-ში პიტერ ბრანსმა და ბრაიან კიდმა გორდონ ჰილის ორი გოლი გაათანაბრეს.

**პაპუნა ძედია**

## ჯიმი და რობი კარდიფელები

**ჰოლანდიის** ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი ინგლისის ჩემპიონლიგის „კარდიფში“ გადავიდა.

35 წლის ფეხბურთელი უკლუბოდ იყო მას შემდეგ, რაც წინა სეზონის ბოლოს „ჩარლტონიდან“ წავიდა.

ჰასელბაინკს „კარდიფში“ რობი ფაულერი დახვდება, რომელიც „ლივერპულიდან“ გადავიდა.

„არა მგონია, რამდენიმე წლის წინ შესაძლებელი ყოფილიყო ასეთი დონის ფეხბურთელის გადასვლა მეორე დივიზიონის გუნდში“ — თქვა „კარდიფის“ შეფმა პიტერ რიდსდეილმა.

ჰასელბაინკს „ატლეტიკოში“, „ლიდსში“, „ჩელსისა“ და „მიდლსბროში“ უთამაშია.

## თავის დამრტყმელი

**აჰმედ ჰოსამ მიდო** „მიდლსბრომ“ „ტოტენჰემისგან“ ექვს მილიონ გირვანქად იყიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

„პრემიერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო ჩამწოდებელი (სტიუარტ დაუნინგი) რომ გყავს, თავით დამრტყმელიც საჭიროა“ — განაცხადა „ბოროს“ თავკაცმა გარეთ საუთგეიტმა, რომელიც მთელი ზაფხული ეძებდა „ნიუკასლში“ წასულ მარკ ვიდუკას შემცვლელს.

მიდოს ნახევარი ევროპა მოუვლია — 24 წლის ფეხბურთელმა „გენტში“, „აიაქსში“, „სელტაში“, „მარსელსა“ და „რომში“ თამაში მოასწრო.

## ეტოოს ანრია

**„იუვენტუსმა“** ახალი ეტოო იპოვა — ასე მონათლეს „ბორდოს“ 16 წლის სენეგალელი ფორვარდი ანრი საივე.

„ტუტოსპორტის“ ცნობით, „იუვეს“ მზვერავები ბიჭის სანახავად სამხრეთ კორეაში ჩავლენ, სადაც მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი იწყება.

საივეთი „ჩელსი“, „არსენალი“ და „აიაქსიც“ არიან დაინტერესებულნი.

**ვაჟა ხუციშვილი**

| II ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | ვესტ ჰემი |
| ფულემი | : | მიდლსბრო |
| ნიუკასლი | : | ასტონ ვილა |
| პორტსმუთი | : | ბოლტონი |
| რედინგი | : | ევერტონი |
| ტოტენჰემი | : | დერბი |
| უიგანი | : | სანდერლენდი |
| **ხვალ** | | |
| სიტი | : | მანჩესტერი |
| ბლეკბერნი | : | არსენალი |
| ლივერპული | : | ჩელსი |

## ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

# შვედის პირველი ქალაქური

**ჩემპიონი** „მანჩესტერი“ წინა სეზონის ორი მთავარმეგოლის, უეინ რუნისა და კრიშტიანუ რონალდუს გარეშე ესტუმრება „სიტის“. ეს იქნება მასპინძელთა მწვრთნელის, სვენ გორან ერიქსონის პირველი ქალაქური დერბი. შვედის ხელში გუნდმა ორ ტურში ექვსი ქულა მოაგროვა და გოლი არ გაუშვია, „მანჩესტერს“ კი პრემიერლიგის ისტორიაში უცუდესი სტარტი ჰქონდა — ორ შეხვედრაში კინკილა ქულა.

რუნის გარდა ტრავმირებულები არიან ოუენ ჰარგრივსი, ლუი საა, ანდერსონი და გარი ნევილი, ხოლო რონალდუს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს.

სტივენ ჯერარდს ფეხის თითი სტკივა „ტულუზთან“ მატჩის შემდეგ, მაგრამ რაფაელ ბენიტესმა თქვა, მაინც ითამაშებსო. თითი ოდნავ ყოფილა გაბზარული და ფეხბურთელიც თავს იკლავს, ამის გამო „ჩელსისთან“ შეხვედრას როგორ დავაკლდებიო. ბენიტესი, სავარაუდოდ, კვლავ შეცვლის შემადგენლობას და ძირითადში ათამაშებს ჯერმენ პენანტს, ჩაბი ალონსოს, დანიელ აგერს და დირკ კუიტს. ამ ოთხეულმა „ტულუზთან“ შეხვედრა გამოტოვა. ტრავმის გამო ჩელსელებს არ ეყოლებათ ბალაკი, მაკელელე, შევჩენკო და რიკარდუ კარვალიუ.

პირველადგილოსანი „ევერტონი“ „რედინგს“ ეწვევა, რომელმაც პირველ ტურში „მანჩესტერთან“ არ წააგო, მეორეში კი „ჩელსისთან“ ჯაჯგურში 1:2 დამარცხდა.

„ეს მართლაც საშინელი კალენდარია ჩვენთვის — დაიჩივლა „რედინგის“ თავკაცმა სტივ კოპელმა — ჯერ ორ გრანდს შევხვდით, ახლა კი ლიდერთან ბრძოლა გვიწევს“.

„ევერტონის“ ცენტრალური მცველი ჟოზეფ იობო დაშავებულია და მისი თამაში საეჭვოა. ტრავმირებული ტიმ კეჰილი და ჯეიმს ვოგანიც დააკლდებიან სტუმრებს.

„ტოტენჰემი“ იმიტომ გაძლიერდა ამ ზაფხულს, რომ ოთხეულში შესვლა უნდა და მოახერხა კიდეც, ოღონდ ქვედა ოთხეულშია, თან პირველია ბოლოდან. „სანდერლენდთან“ და „ევერტონთან“ წაგების შემდეგ „მამლებმა“ ეგებ „დერბის“ დამარცხება მოახერხონ.

„ამიერიდან ყოველი მატჩის წინ უფრო და უფრო დიდი წნეხის ქვეშ ვიქნებით — თქვა ტოტენჰემელთა მეორე მწვრთნელმა კრის ჰაუტონმა — ცხადია, „დერბი“ ქულის ალებას მაინც შეეცდება, მაგრამ მიჯრით ორი მარცხის შემდეგ შინ მოგება ჰაერივით გვჭირდება“.

„ბირმინგემი“ კარგად დამწყები, მაგრამ ცუდად გამგრძელებელი გუნდია. პირველ ტურში „ჩელსის“ უგებდა და დამარცხდა, მეორეში კი „სანდერლენდს“ — თუმც მხოლოდ ქულას დასჯერდა. ამჯერად „ვესტ ჰემს“ მასპინძლობენ, რომელმაც კირონ დაიერი იყიდა და შეიძლება მისი დებიუტი შედგეს.

„სენტ ჯეიმს პარკზე“ სემ ალარდაისი პირველად გაიყვანს „ნიუკასლს“ — „კაჭკაჭები“ ბირმინგემის „ასტონ ვილას“ დაუხვდებიან. „ნიუკასლში“ ეგებ მაიკლ ოუენი გამოჩნდეს, რომელიც საბოლოოდ მომჯობინდა.

„ცოტა უფრო მჭიდროთ თუ ვეთამაშებით მეტოქეს, დარწმუნებული ვარ, საქმეებიც უკეთ წაგვივა“ — განაცხადა ვილელთა თავკაცმა მარტინ ონილმა, ვინც „ლივერპულთან“ პირველ ტურში მარცხის შემდეგ მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა.

„მიდლსბროს“ ფანები კი აჰმედ ჰოსამ მიდოს დებიუტს ელიან. გარეთ საუთგეიტის გუნდმა ორივე შეხვედრა წააგო და დღეს „ფულემს“ ესტუმრება.

„ჩვენ გვჭირდებოდა ბურთის დამჭერი, ღონიერი და ტექნიკური მეგოლე. მიდო სწორედ ასეთია“ — აღნიშნა „ბოროს“ მწვრთნელმა.

ჯერჯერობით მეოთხე ადგილზე მოკალათებული „სანდერლენდი“ უიგანში ჩავა, მათი ფორვარდი მაიკლ ჩოპრა კი იმედოვნებს, რომ ზედიზედ მესამე შეხვედრაშიც შეძლებს გატანას.

„მუდამ მჯეროდა, რომ პრემიერლიგის დონეზე თამაში შემეძლო და მინდა, კვლავ გავიტანო“ — თქვა ჩოპრამ.

ბლექბერში კი „არსენალის“ მაისურით ეგებ პირველი პრემიერლიგური მატჩი დააჭაშნიკოს ხორვატმა თავდამსხმელმა ედუარდო და სილვამ. კოჭის მცირე ტრავმის გამო მან „ფულემთან“ თამაში გამოტოვა. „არსენალს“ დაშავებული ჰყავს ემანუელ ებუ, აბუ დიაბი და ემანუელ ადებაიორი, ჟილბერტო სილვა კი შვებულებიდან ჯერ არ დაბრუნებულა.

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ევერტონი | | | | | | | | | | 2:1 | | | | | | | | | | | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 2 | სიტი | | | | | | | | | | | | | | 1:0 | | | | | | | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 3 | ჩელსი | | | | | | | | | | | | | 3:2 | | | | | | | | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 4 | სანდერლენდი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1:0 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 5 | ნიუკასლი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 6 | არსენალი | | | | | | | | | 2:1 | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 7 | ბლეკბერნი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 8 | ლივერპული | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 9 | ფულემი | | | | | | | | | | | | | | | | | | | 2:1 | | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 10 | უიგანი | | | | | | | | | | | | | | | | | 1:0 | | | | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 11 | პორტსმუთი | | | | | | | | | | | | 1:1 | | | | | | | | | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 12 | მანჩესტერი | | | | | | | | | | | | | | | 0:0 | | | | | | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 13 | ბირმინგემი | | | | 2:2 | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| 14 | დერბი | | | | | | | | | | | 2:2 | | | | | | | | | | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 11311 | ჰამარი-ტრომსდალენი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11312 | პიონეფოსი-მოლდე | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11314 | მოსი-რაუფოსი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11315 | ნოტოდენი-კონგსვინგერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11316 | სკეიდი-ბოდიო გლიმტი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11317 | ხოგნდალი-ლოვ ჰამი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11318 | სპარტა ს-ბრიინი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11322 | ელფსბორგი-გაის | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11323 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11324 | მალმიო-ბრომაპოიკარნა | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11325 | გეფლე-ტრელებორგი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11326 | ჰელსინგბორგი-კალმარი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11327 | იორებრო-აიკ | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16009 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.25 | 3.40 |
| 16010 | ბირმინგემი-ვესტ ჰემი | 1.62 | 2.05 |
| 16011 | ბლექბერნი-არსენალი | 2.05 | 1.65 |
| 16012 | ფულემი-მიდლსბრო | 1.50 | 2.30 |
| 16013 | რედინგი-ევერტონი | 1.65 | 2.05 |
| 16014 | ტოტენჰემი-დერბი | 1.10 | 5.50 |
| 16015 | უიგანი-სანდერლენდი | 1.55 | 2.20 |
| 16016 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.25 | 3.40 |
| 16017 | სიტი-მანჩესტერი | 3.00 | 1.30 |
| 16019 | ბლეკპული-ბრისტოლი | 1.40 | 2.55 |
| 16020 | კოლჩესტერი-ბარნსლი | 1.24 | 3.60 |
| 16021 | ქოვენთრი-ჰალი | 1.22 | 3.40 |
| 16022 | კრისტალ პალასი-ლესტერი | 1.32 | 3.00 |
| 16023 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 1.52 | 2.20 |
| 16024 | პლიმუთი-იფსვიჩი | 1.52 | 2.20 |
| 16025 | ქპრ-კარდიფი | 1.58 | 2.10 |
| 16026 | სკანთორპი-ბარნლი | 1.62 | 2.05 |
| 16027 | უენსდი-ვულვერჰემპტონი | 1.65 | 2.05 |
| 16028 | უოტფორდი-შეფილდი | 1.45 | 2.45 |
| 16029 | ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი | 1.24 | 3.60 |
| 16030 | სტოკი-ჩარლტონი | 1.65 | 2.05 |
| 16080 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 1.82 | 1.82 |
| 16081 | ჰართსი-გრეტნა | 1.05 | 5.70 |
| 16084 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.55 | 2.20 |
| 16085 | აბერდინი-სელტიკი | 2.90 | 1.32 |
| 16102 | არმინია-აინტრახტი | 1.45 | 2.45 |
| 16103 | დუისბურგი-ვოლფსბურგი | 1.62 | 2.05 |
| 16104 | ჰანზა-ნიურნბერგი | 1.80 | 1.85 |
| 16105 | ჰერტა-შტუტგარტი | 2.05 | 1.65 |
| 16106 | შალკე-დორტმუნდი | 1.23 | 3.60 |
| 16107 | ვერდერი-ბაიერნი | 2.45 | 1.40 |
| 16108 | კოტბუსი -ბოხუმი | 1.55 | 2.20 |
| 16140 | მატერსბურგი-აუსტრია | 1.58 | 2.10 |
| 16141 | რაპიდი-ზალცბურგი | 1.75 | 1.85 |
| 16142 | რიდი-შტურმი | 1.58 | 2.10 |
| 16143 | ტიროლი-ლინცერი | 1.80 | 1.85 |
| 16156 | აარაუ-ლუცერნი | 1.52 | 2.20 |
| 16157 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 1.55 | 2.20 |
| 16158 | იანგ ბოიზი-თუნი | 1.12 | 4.60 |
| 16159 | გრასჰოპერი-ბაზელი | 1.95 | 1.65 |
| 16160 | სიონი-ციურიხი | 1.80 | 1.85 |
| 16181 | ლანსი-ვალენსიენი | 1.22 | 3.40 |
| 16182 | ლორიანი-ლიონი | 3.00 | 1.30 |
| 16187 | მარსელი-ნანსი | 1.14 | 4.70 |
| 16200 | დენდერი-ანდერლეხტი | 4.10 | 1.17 |
| 16202 | ბრიუსელი-გენტი | 2.10 | 1.60 |
| 16203 | გენკი-რუზელარე | 1.10 | 5.50 |
| 16204 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 1.58 | 2.10 |
| 16205 | მუსკრონი-მონსი | 1.34 | 2.80 |
| 16206 | ვარეგემი-ვესტერლო | 1.70 | 1.95 |
| 16207 | სტანდარდი-სერკლი | 1.05 | 5.70 |
| 16297 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1.08 | 5.00 |
| 16298 | რანდერსი-ნორდსიელანდი | 1.34 | 2.80 |
| 16300 | ვიბორგი-ჰორსენსი | 1.58 | 2.10 |
| 16301 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 1.22 | 3.40 |
| 16302 | ოლბორგი-ოდენსე | 1.70 | 1.95 |
| 16311 | ჰამარი-ტრომსდალენი | 1.02 | 6.70 |
| 16312 | პიონეფოსი-მოლდე | 2.45 | 1.40 |
| 16314 | მოსი-რაუფოსი | 1.14 | 4.70 |
| 16315 | ნოტოდენი-კონგსვინგერი | 1.40 | 2.55 |
| 16316 | სკეიდი-ბოდიო გლიმტი | 3.60 | 1.23 |
| 16317 | ხოგნდალი-ლოვ ჰამი | 1.22 | 3.40 |
| 16318 | სპარტა ს-ბრიინი | 1.75 | 1.85 |
| 16322 | ელფსბორგი-გაის | 1.11 | 5.70 |
| 16323 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 1.40 | 2.55 |
| 16324 | მალმიო-ბრომაპოიკარნა | 1.10 | 5.50 |
| 16325 | გეფლე-ტრელებორგი | 1.23 | 3.60 |
| 16326 | ჰელსინგბორგი-კალმარი | 1.45 | 2.45 |
| 16327 | იორებრო-აიკ | 1.80 | 1.85 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12009 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.60 | 1.85 |
| 12010 | ბირმინგემი-ვესტ ჰემი | 1.60 | 1.85 |
| 12011 | ბლექბერნი-არსენალი | 1.65 | 1.80 |
| 12012 | ფულემი-მიდლსბრო | 1.60 | 1.85 |
| 12013 | რედინგი-ევერტონი | 1.55 | 1.90 |
| 12014 | ტოტენჰემი-დერბი | 1.80 | 1.65 |
| 12015 | უიგანი-სანდერლენდი | 1.55 | 1.90 |
| 12016 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.65 | 1.80 |
| 12017 | სიტი-მანჩესტერი | 1.80 | 1.65 |
| 12019 | ბლეკპული-ბრისტოლი | 1.65 | 1.85 |
| 12020 | კოლჩესტერი-ბარნსლი | 1.75 | 1.75 |
| 12021 | ქოვენთრი-ჰალი | 1.70 | 1.80 |
| 12022 | კრისტალ პალასი-ლესტერი | 1.65 | 1.85 |
| 12023 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 1.65 | 1.85 |
| 12024 | პლიმუთი-იფსვიჩი | 1.65 | 1.85 |
| 12025 | ქპრ-კარდიფი | 1.65 | 1.85 |
| 12026 | სკანთორპი-ბარნლი | 1.60 | 1.90 |
| 12027 | უენსდი-ვულვერჰემპტონი | 1.70 | 1.80 |
| 12028 | უოტფორდი-შეფილდი | 1.75 | 1.75 |
| 12029 | ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი | 1.65 | 1.85 |
| 12030 | სტოკი-ჩარლტონი | 1.60 | 1.90 |
| 12080 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 1.55 | 1.90 |
| 12081 | ჰართსი-გრეტნა | 1.90 | 1.55 |
| 12083 | რეინჯერსი-ფოლკირკი | 2.00 | 1.50 |
| 12084 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.55 | 2.00 |
| 12085 | აბერდინი-სელტიკი | 1.65 | 1.80 |
| 12102 | არმინია-აინტრახტი | 1.80 | 1.65 |
| 12103 | დუისბურგი-ვოლფსბურგი | 1.75 | 1.70 |
| 12104 | ჰანზა-ნიურნბერგი | 1.75 | 1.70 |
| 12105 | ჰერტა-შტუტგარტი | 1.75 | 1.70 |
| 12106 | შალკე-დორტმუნდი | 1.80 | 1.65 |
| 12107 | ვერდერი-ბაიერნი | 1.90 | 1.55 |
| 12108 | კოტბუსი -ბოხუმი | 1.70 | 1.75 |
| 12140 | მატერსბურგი-აუსტრია | 1.65 | 1.80 |
| 12141 | რაპიდი-ზალცბურგი | 1.65 | 1.80 |
| 12142 | რიდი-შტურმი | 1.80 | 1.65 |
| 12143 | ტიროლი-ლინცერი | 1.75 | 1.70 |
| 12156 | აარაუ-ლუცერნი | 1.80 | 1.65 |
| 12157 | სტ-გალენი-ქსამაქსი | 1.80 | 1.65 |
| 12158 | იანგ ბოიზი-თუნი | 2.10 | 1.45 |
| 12159 | გრასჰოპერი-ბაზელი | 2.00 | 1.50 |
| 12160 | სიონი-ციურიხი | 1.75 | 1.70 |
| 12181 | ლანსი-ვალენსიენი | 1.50 | 2.00 |
| 12182 | ლორიანი-ლიონი | 1.60 | 1.85 |
| 12187 | მარსელი-ნანსი | 1.50 | 2.00 |
| 12200 | დენდერი-ანდერლეხტი | 2.00 | 1.50 |
| 12202 | ბრიუსელი-გენტი | 1.85 | 1.60 |
| 12203 | გენკი-რუზელარე | 2.10 | 1.45 |
| 12204 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 1.75 | 1.70 |
| 12205 | მუსკრონი-მონსი | 1.80 | 1.65 |
| 12206 | ვარეგემი-ვესტერლო | 1.80 | 1.65 |
| 12207 | სტანდარდი-სერკლი | 2.10 | 1.45 |
| 12297 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 2.10 | 1.45 |
| 12298 | რანდერსი-ნორდსიელანდი | 1.90 | 1.55 |
| 12299 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 1.90 | 1.55 |
| 12300 | ვიბორგი-ჰორსენსი | 1.80 | 1.65 |
| 12301 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 2.00 | 1.50 |
| 12302 | ოლბორგი-ოდენსე | 1.85 | 1.60 |
| 12311 | ჰამარი-ტრომსდალენი | 2.45 | 1.30 |
| 12312 | პიონეფოსი-მოლდე | 2.00 | 1.50 |
| 12314 | მოსი-რაუფოსი | 2.20 | 1.40 |
| 12315 | ნოტოდენი-კონგსვინგერი | 2.10 | 1.45 |
| 12316 | სკეიდი-ბოდიო გლიმტი | 2.45 | 1.30 |
| 12317 | ხოგნდალი-ლოვ ჰამი | 2.20 | 1.40 |
| 12318 | სპარტა ს-ბრიინი | 2.30 | 1.35 |
| 12322 | ელფსბორგი-გაის | 1.80 | 1.65 |
| 12323 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 1.65 | 1.80 |
| 12324 | მალმიო-ბრომაპოიკარნა | 1.85 | 1.60 |
| 12325 | გეფლე-ტრელებორგი | 1.65 | 1.80 |
| 12326 | ჰელსინგბორგი-კალმარი | 1.75 | 1.70 |
| 12327 | იორებრო-აიკ | 1.70 | 1.75 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10009 | პორტსმუთი-ბოლტონი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10010 | ბირმინგემი-ვესტ ჰემი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10011 | ბლექბერნი-არსენალი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10012 | ფულემი-მიდლსბრო | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10013 | რედინგი-ევერტონი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10014 | ტოტენჰემი-დერბი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10015 | უიგანი-სანდერლენდი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10016 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10017 | სიტი-მანჩესტერი | 4.95 | 2.10 | 2.10 | 1.47 | 1.47 | 1.04 |
| 10019 | ბლეკპული-ბრისტოლი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10020 | კოლჩესტერი-ბარნსლი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10021 | ქოვენთრი-ჰალი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10022 | კრისტალ პალასი-ლესტერი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10023 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10024 | პლიმუთი-იფსვიჩი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10025 | ქპრ-კარდიფი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10026 | სკანთორპი-ბარნსლი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10027 | უენსდი-ვულვერჰემპტონი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10028 | უოტფორდი-შეფილდი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10029 | ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10030 | სტოკი-ჩარლტონი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10081 | პართსი-გრეტნა | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10083 | რეინჯერსი-ფოლკირკი | 1.30 | 2.80 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.07 |
| 10084 | სტ.მირენი-ინვერნესი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10085 | აბერდინი-სელტიკი | 4.55 | 2.00 | 2.15 | 1.38 | 1.46 | 1.03 |
| 10103 | დუისბურგი-ვოლფსბურგი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10104 | ჰანზა-ნიურნბერგი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10105 | ჰერტა-შტუტგარტი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10106 | შალკე-დორტმუნდი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10107 | ვერდერი-ბაიერნი | 4.05 | 2.00 | 2.30 | 1.33 | 1.46 | 1.06 |
| 10108 | კოტბუსი -ბოხუმი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10140 | მატერსბურგი-ავსტრია | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10141 | რაპიდი-ზალცბურგი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10142 | რიდი-შტურმი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10143 | ტიროლი-ლინცერი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10156 | აარაუ-ლუცერნი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10157 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10158 | იანგ ბოიზი-თუნი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10159 | გრასჰოპერი-ბაზელი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10160 | სიონი-ციურიხი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10181 | ლანსი-ვალენსიენი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10182 | ლორიანი-ლიონი | 4.80 | 2.10 | 2.10 | 1.46 | 1.46 | 1.04 |
| 10187 | მარსელი-ნანსი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10200 | დენდერი-ანდერლეხტი | 5.50 | 2.10 | 1.85 | 1.51 | 1.38 | 1.00 |
| 10202 | ბრიუსელი-გენტი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10203 | გენკი-რუზელარე | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10204 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10205 | მუსკრონი-მონსი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10206 | ვარეგემი-ვესტერლო | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10207 | სტანდარდი-სერკლი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10297 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10298 | რანდერსი-ნორდსიელანდი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10299 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10300 | ვიბორგი-ჰორსენსი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10301 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10302 | ოლბორგი-ოდენსე | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10311 | ჰამარი-ტრომსდალენი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10312 | ჰიონეფოსი-მოლდე | 4.20 | 2.00 | 2.20 | 1.35 | 1.44 | 1.04 |
| 10314 | მოსი-რაუფოსი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10315 | ნოტოდენი-კონგსვინგერი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10316 | სკეიდი-ბოდიო გლიმტი | 5.00 | 2.10 | 2.00 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10317 | სოგნდალი-ლოვ ჰამი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10318 | სპარტა ს-ბრინი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10322 | ელფსბორგი-გაის | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10323 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10324 | მალმიო-ბრომაპოიკარნა | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10325 | გეფლე-ტრელებორგი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10326 | ჰელსინგბორგი-კალმარი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10327 | იორებრო-აიკ | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15009 | პორტსმუთი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ბირმინგემი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ბლექბერნი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ფულემი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | რედინგი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ტოტენჰემი-დერბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | უიგანი-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | სიტი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ბლეკპული-ბრისტოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | კოლჩესტერი-ბარნსლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | ქოვენთრი-ჰალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | კრისტალ პალასი-ლესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | პლიმუთი-იფსვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | ქპრ-კარდიფი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15026 | სკანთორპი-ბარნსლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15027 | უენსდი-ვულვერჰემპტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15028 | უოტფორდი-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15029 | ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15030 | სტოკი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | სტ.მირენი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15085 | აბერდინი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | არმინია-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | დუისბურგი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ჰანზა-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ჰერტა-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | შალკე-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | ვერდერი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | კოტბუსი -ბოხუმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | მატერსბურგი-ავსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15141 | რაპიდი-ზალცბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | რიდი-შტურმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | ტიროლი-ლინცერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | აარაუ-ლუცერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | იანგ ბოიზი-თუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15159 | გრასჰოპერი-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | სიონი-ციურიხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | ლანსი-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | ლორიანი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15187 | მარსელი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15202 | ბრიუსელი-გენტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15204 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15205 | მუსკრონი-მონსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15206 | ვარეგემი-ვესტერლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15298 | რანდერსი-ნორდსიელანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15299 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15300 | ვიბორგი-ჰორსენსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15301 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15302 | ოლბორგი-ოდენსე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15312 | ჰიონეფოსი-მოლდე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15314 | მოსი-რაუფოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15315 | ნოტოდენი-კონგსვინგერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15316 | სკეიდი-ბოდიო გლიმტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15317 | სოგნდალი-ლოვ ჰამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15318 | სპარტა ს-ბრინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15323 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15325 | გეფლე-ტრელებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15326 | ჰელსინგბორგი-კალმარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15327 | იორებრო-აიკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14009 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.45 | 2.40 |
| 14010 | ბირმინგემი-ვესტ ჰემი | 1.80 | 2.00 |
| 14011 | ბლექბერნი-არსენალი | 2.00 | 1.80 |
| 14012 | ფულემი-მიდლსბრო | 1.75 | 2.10 |
| 14013 | რედინგი-ევერტონი | 1.80 | 2.00 |
| 14014 | ტოტენჰემი-დერბი | 1.20 | 2.60 |
| 14015 | უიგანი-სანდერლენდი | 1.80 | 2.00 |
| 14016 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.45 | 2.40 |
| 14017 | სიტი-მანჩესტერი | 2.40 | 1.45 |
| 14019 | ბლეკპული-ბრისტოლი | 1.70 | 2.20 |
| 14020 | კოლჩესტერი-ბარნსლი | 1.45 | 2.40 |
| 14021 | ქოვენთრი-ჰალი | 1.30 | 2.50 |
| 14022 | კრისტალ პალასი-ლესტერი | 1.65 | 2.30 |
| 14023 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 1.75 | 2.10 |
| 14024 | პლიმუთი-იფსვიჩი | 1.75 | 2.10 |
| 14025 | ქპრ-კარდიფი | 1.80 | 2.00 |
| 14026 | სკანთორპი-ბარნსლი | 1.80 | 2.00 |
| 14027 | უენსდი-ვულვერჰემპტონი | 1.80 | 2.00 |
| 14028 | უოტფორდი-შეფილდი | 1.75 | 2.10 |
| 14029 | ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი | 1.45 | 2.40 |
| 14030 | სტოკი-ჩარლტონი | 1.80 | 2.00 |
| 14080 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 1.95 | 1.85 |
| 14081 | პართსი-გრეტნა | 1.08 | 2.90 |
| 14084 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.80 | 2.00 |
| 14085 | აბერდინი-სელტიკი | 2.50 | 1.30 |
| 14103 | დუისბურგი-ვოლფსბურგი | 1.80 | 2.00 |
| 14104 | ჰანზა-ნიურნბერგი | 1.95 | 1.85 |
| 14105 | ჰერტა-შტუტგარტი | 2.00 | 1.80 |
| 14106 | შალკე-დორტმუნდი | 1.45 | 2.40 |
| 14107 | ვერდერი-ბაიერნი | 2.30 | 1.65 |
| 14108 | კოტბუსი -ბოხუმი | 1.80 | 2.00 |
| 14140 | მატერსბურგი-ავსტრია | 1.80 | 2.00 |
| 14141 | რაპიდი-ზალცბურგი | 1.85 | 1.95 |
| 14142 | რიდი-შტურმი | 1.80 | 2.00 |
| 14143 | ტიროლი-ლინცერი | 2.00 | 1.80 |
| 14156 | აარაუ-ლუცერნი | 1.75 | 2.10 |
| 14157 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 1.80 | 2.00 |
| 14158 | იანგ ბოიზი-თუნი | 1.20 | 2.60 |
| 14159 | გრასჰოპერი-ბაზელი | 2.00 | 1.80 |
| 14181 | ლანსი-ვალენსიენი | 1.30 | 2.50 |
| 14182 | ლორიანი-ლიონი | 2.40 | 1.45 |
| 14187 | მარსელი-ნანსი | 1.30 | 2.50 |
| 14200 | დენდერი-ანდერლეხტი | 2.60 | 1.20 |
| 14202 | ბრიუსელი-გენტი | 2.30 | 1.65 |
| 14203 | გენკი-რუზელარე | 1.20 | 2.60 |
| 14204 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 1.80 | 2.00 |
| 14205 | მუსკრონი-მონსი | 1.70 | 2.20 |
| 14206 | ვარეგემი-ვესტერლო | 1.85 | 1.95 |
| 14207 | სტანდარდი-სერკლი | 1.08 | 2.90 |
| 14297 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1.08 | 2.90 |
| 14298 | რანდერსი-ნორდსიელანდი | 1.70 | 2.20 |
| 14300 | ვიბორგი-ჰორსენსი | 1.80 | 2.00 |
| 14301 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 1.30 | 2.50 |
| 14302 | ოლბორგი-ოდენსე | 1.85 | 1.95 |
| 14312 | ჰიონეფოსი-მოლდე | 2.40 | 1.45 |
| 14314 | მოსი-რაუფოსი | 1.30 | 2.50 |
| 14315 | ნოტოდენი-კონგსვინგერი | 1.70 | 2.20 |
| 14316 | სკეიდი-ბოდიო გლიმტი | 2.60 | 1.20 |
| 14317 | სოგნდალი-ლოვ ჰამი | 1.30 | 2.50 |
| 14318 | სპარტა ს-ბრინი | 2.00 | 1.80 |
| 14322 | ელფსბორგი-გაის | 1.20 | 2.60 |
| 14323 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 1.70 | 2.20 |
| 14324 | მალმიო-ბრომაპოიკარნა | 1.20 | 2.60 |
| 14325 | გეფლე-ტრელებორგი | 1.45 | 2.40 |
| 14326 | ჰელსინგბორგი-კალმარი | 1.75 | 2.10 |
| 14327 | იორებრო-აიკ | 2.00 | 1.80 |

## გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2

(0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17009 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ბირმინგემი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ბლექბერნი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ფულემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17013 | რედინგი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ტოტენჰემი-დერბი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | უიგანი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17017 | სიტი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ბლეკპული-ბრისტოლი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | კოლჩესტერი-ბარნსლი | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ქოვენთრი-ჰალი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | კრისტალ პალასი-ლესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17024 | პლიმუთი-იფსვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ქპრ-კარდიფი | 1.85 | 1.95 |
| 17026 | სკანთორპი-ბარნსლი | 1.85 | 1.95 |
| 17027 | უენსდი-ვულვერჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17028 | უოტფორდი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17029 | ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი | 1.85 | 1.95 |
| 17030 | სტოკი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | პართსი-გრეტნა | 1.85 | 1.95 |
| 17083 | რეინჯერსი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17084 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | აბერდინი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | არმინია-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | დუისბურგი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ჰანზა-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ჰერტა-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | შალკე-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | ვერდერი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | კოტბუსი -ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17140 | მატერსბურგი-ავსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17141 | რაპიდი-ზალცბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17142 | რიდი-შტურმი | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ტიროლი-ლინცერი | 1.85 | 1.95 |
| 17156 | აარაუ-ლუცერნი | 1.85 | 1.95 |
| 17157 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17158 | იანგ ბოიზი-თუნი | 1.85 | 1.95 |
| 17159 | გრასჰოპერი-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17160 | სიონი-ციურიხი | 1.85 | 1.95 |
| 17181 | ლანსი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17182 | ლორიანი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17187 | მარსელი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17200 | დენდერი-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17202 | ბრიუსელი-გენტი | 1.85 | 1.95 |
| 17203 | გენკი-რუზელარე | 1.85 | 1.95 |
| 17204 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 1.85 | 1.95 |
| 17205 | მუსკრონი-მონსი | 1.85 | 1.95 |
| 17206 | ვარეგემი-ვესტერლო | 1.85 | 1.95 |
| 17207 | სტანდარდი-სერკლი | 1.85 | 1.95 |
| 17297 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1.85 | 1.95 |
| 17298 | რანდერსი-ნორდსიელანდი | 1.85 | 1.95 |
| 17299 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 1.85 | 1.95 |
| 17300 | ვიბორგი-ჰორსენსი | 1.85 | 1.95 |
| 17301 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 1.85 | 1.95 |
| 17302 | ოლბორგი-ოდენსე | 1.85 | 1.95 |
| 17311 | ჰამარი-ტრომსდალენი | 1.85 | 1.95 |
| 17312 | ჰიონეფოსი-მოლდე | 1.85 | 1.95 |
| 17314 | მოსი-რაუფოსი | 1.85 | 1.95 |
| 17315 | ნოტოდენი-კონგსვინგერი | 1.85 | 1.95 |
| 17316 | სკეიდი-ბოდიო გლიმტი | 1.85 | 1.95 |
| 17317 | სოგნდალი-ლოვ ჰამი | 1.85 | 1.95 |
| 17318 | სპარტა ს-ბრინი | 1.85 | 1.95 |
| 17322 | ელფსბორგი-გაის | 1.85 | 1.95 |
| 17323 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 1.85 | 1.95 |
| 17324 | მალმიო-ბრომაპოიკარნა | 1.85 | 1.95 |
| 17325 | გეფლე-ტრელებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17326 | ჰელსინგბორგი-კალმარი | 1.85 | 1.95 |
| 17327 | იორებრო-აიკ | 1.85 | 1.95 |

# ფინეთმა ბრძანება მიიღო: ესროლეთ პირდაპირ... კალათში

## ჰანო მოტოლა საქართველოს უმიზნებს



ტეემუ რანიკო

**ფინეთმა** ევროსაკვალიფიკაციოს პირველ წრეში 10 ქულა მოგვიგო და, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, სუომელებს ახლა უფრო კარგი გუნდი ჰყავთ. ფიბაევროპის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გუშინ ფინელთა საქებარი სტატია გამოქვეყნდა, სადაც ჩვენი მეტოქეები საქარვთელოსაც ახსენებენ.

ფინეთმა ახლახან მოილია ხორვატიული სპარინგ-ტურნირი, სადაც მასპინძლებთან კი შერცხვა, მაგრამ საკმაოდ მძლავრი ახალი ზელანდია დაამარცხა და სპეციალისტებს აი, რა ათქმევინა:

„მიუხედავად ხორვატიასთან უიმედო წაგებისა, ფინელებმა ადრიატიკის ამხანაგურ ტურნირზე თავი ბრწყინვალედ წარმოაჩინეს და შეგვიძლია,მივიჩნიოთ, რომ ახლა შარშანდელზე მძლავრი გუნდი ჰყავთ. გასულ ზაფხულს ფინეთმა ევროსაკვალიფიკაციო ჯგუფის ოთხივე მატჩი მოიგო და ახლაც იგივეს გაკეთება სურს“.

ფინელებს აკლიათ ტრავმირებული ლიდერი ჰანო მოტოლა, რომლის გამოჯანმრთელებაც, ტეემუ რანიკოს თქმით, მათ გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებს.

„ჰანო რამდენიმე კვირაში დაგვიბრუნდება. ვვარაუდობთ, რომ საქართველოსთან ის უკვე მწყობრში იქნება, თუმც მის გარეშეც ბრწყინვალედ ვთამაშობთ. ჩვენ გვყავს კარგი სამქულიანის მსროლელები და ინსტრუქცია გვაქვს მიღებული, რომ თუ სროლის ოდნავი შესაძლებლობა გვექნება, არ ვიჭოჭმანოთ“.

ფინეთი ამ საკვალიფიკაციო წრეს ავსტრიაში მატჩით იწყებს. 21 აგვისტოს შეხვედრისთვის ფინელები განსაკუთრებით ემზადებიან. „ჩვენ მოვუგეთ ახალ ზელანდიას, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატების რეგულარული მონაწილეა და ეს დიდ სტიმულს გვაძლევს — ამბობს რანიკო — ავსტრიაში ურთულესი მატჩი გველის და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ოთხშაბათისთვის მზად ვიყოთ. ავსტრიამ ხორვატიასთან მხოლოდ 6 ქულა წააგო, შარშან კი ამ გუნდმა კინაღამ საქართველო დაამარცხა. ასე რომ, ძალიან პრინციპული შეხვედრა იქნება“.

როგორც თვითმხილველი ჟურნალისტები ამბობენ, ახალზელანდიელებითან მატჩში იყო მომენტები, როცა უნებურად იკითხავდი, რა უნდა ფინეთის ნაკრებს B დივიზიონშიო.

„ჩვენ ერთხელ მოვუგეთ შვედეთს და ესტონეთთან ყოველთვის ტოლსწორად ვთამაშობთ. ეს გუნდები A დივიზიონის წევრები არიან. იოლია, ვთქვათ, რატომ ვართ B დივიზიონში — ჯერ უნდა მოვიგოთ მნიშვნელოვანი მატჩები და ეს კითხვა მერე დავსვათ. ფინეთი ნელ-ნელა ამტკიცებს, რომ მისი ადგილი ელიტაშია“ — იმედიანადაა ფინელთა გამთამაშებელი ტეემუ რანიკო.

საქართველო ფინეთს 2 სექტემბერს თბილისში ეთამაშება. შარშან ჩვენებმა ჰელსინკში 81:91 წააგეს და რევანშის მოლოდინში არიან.

**ირაკლი ბერტაია**

# ამერიკული კო(მ)ბი-ნაცია

## ბრაიანტი+ჯეიმსი. ენტონი და სხვები



კობი ბრაიანტი

**ლას ვეგასში** საწვრთნელ კემპზე შეკრებილა ამერიკის შეერთებული შტატების საკალათბურთო ნაკრები. 22 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე იქვე გაიმართება ოლიმპიადისთვის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც ჩრდილო, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკიდან 10 გუნდი მონაწილეობს.

ტურნირის სქემა ასეთია: 10 ნაკრები ორ ჯგუფშია გადანაწილებული. ისინი ერთმანეთს წრიულად შეხვდებიან და ოთხ-ოთხი საუკეთესო მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავა, სადაც ერთი ჯგუფიდან წამოსულები მეორე ჯგუფიდან გამოსულებს ეთამაშებიან. 4 საუკეთესო ნახევარფინალში გადის და გამარჯვებულები (ანუ ტურნირის ფინალისტები) იღებენ 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის საგზურს.

ორ ჯგუფში გუნდები ასე გადანაწილდნენ:

პირველი ჯგუფი — არგენტინა (ოლიმპიური ჩემპიონი), მექსიკა, პანამა, პუერტო რიკო, ურუგვაი.

მეორე ჯგუფი — ბრაზილია, კანადა, აშშ, ვირჯინიის კუნძულები, ვენესუელა.

ამერიკის ნაკრების მთავარი ფუნქციონერი და სელექტორი ეცადა, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი გუნდი შეეკრიბა და სახელი აღედგინა ნბა-ს ნაკრებისთვის, რომელსაც 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ არაფერი მოუგია. გუნდში არიან კობი ბრაიანტი და ლებრონ ჯეიმსი, ნბა-ს ორი ყველაზე კარგად გარეკლამებული ვარსკვლავი, მაგრამ არის მესამეც, რომელსაც ლიდერობის პრეტენზია აქვს. „დენვერის“ ლიდერი კარმელო ენტონი ამბობს, რომ თუ ჩვენში ვინმეს შეიძლება ლიდერი დაარქვა, ეს მე ვარო და ყველას ახსენებს 2006 წლის იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატს, რომლის მსვლელობისას ის მართლაც საუკეთესო იყო ამერიკელებში საშუალოდ ნაგროვები 19,9 ქულით.

საკითხავია, რამდენად შეეგუება კობი ბრაიანტი იმ გუნდში სხვის ამგვარ განცხადებას, რომელშიც თავად თამაშობს. ბრაიანტს 24 აგვისტოს, ანუ ტურნირის მსვლელობისას 29 წელი უსრულდება და თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო ორი სეზონი ნბა-ს პირველი ბომბარდირი იყო, ის ალბათ აქაც პირველობას დაიჩემებს. სხვაფრივ კი სათქმელია, რომ 22 აგვისტოს ვენესუელასთან შეხვედრაში კობის დებიუტი ექნება ნაკრებში. მას მანამდეც იძახებდნენ ეროვნულ გუნდში, მაგრამ ხან ტრავმა უშლიდა ხელს, ხან სასამართლოში იყო და ხანაც ხასიათზე არ გახლდათ.

ბრაიანტის, ჯეიმსისა და ენტონის გარდა ნაკრებში არიან. ამარე სტუდემაიერი, ჯეისონ კიდი, ჩონსი ბილაფსი, ტაისონ ჩანდლერი, მაიკლ რედი, კევინ დურანტი, დუაიტ ჰოვარდი, ტაიშონ პრინსი და მაიკ მილერი.

**კოტე ყორშია**

# ესპანელმა ესპანელი მონახა



ხუან კარლოს ნავარრო

**„ვაშინგტონ ვიზარდსი“** წლების განმავლობაში ცდილობდა „ბარსელონადან“ ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის, ხუან კარლოს ნავაროს გადაბირებას, მაგრამ როდესაც ბოლოს და ბოლოს ეს მოახერხა, ის რატომღაც „მემფის გრიზლიზს“ დაუთმო მომავალი დრაფტის პირველი წრის არჩევანის ფასად.

ამ გაცვლის შემდეგ „ვაშინგტონის“ შეფი ერნი გრუნფილდი კმაყოფილი ამბობდა, „მემფისს“ ეს სეზონიც ჩაუვარდება და მისი კუთვნილი, აწ კი ჩვენი არჩევანი ფასს მოიმატებსო.

რაც შეეხება ნავაროს, 27 წლის ესპანელი ვარსკვლავი მემფისში“ თავს გაცილებით კომფორტულად იგრძნობს. გარდა იმისა, რომ „ვაშინგტონში“ მის ამპლუაში უფრო დიდი კონკურენციაა, „მემფისი“ იმითაცაა კარგი, რომ იქ ნავაროს ძველი მეგობარი პაუ გასოლი თამაშობს და ექსბარსელონელს ახალ გუნდთან და ლიგასთან ადაპტირებას გაუადვილებს.

**კოტე ყორშია**



## 24-ე სტუდენტური უნივერსიადა ბანგკოკი, ტაილანდი. 8-18 აგვისტო

# ტაილანდური ორმოცი ოქროთი და ბრინჯაოთი

**მსოფლიოს** ოცდამეოთხე უნივერსიადა დღეს კალათბურთის, ფრენბურთისა და წყალში ხტომის ფინალებით დაიხურება. ქართული დელეგაციისთვის კი გუშინ თამაშები დასრულდა. საქართველო ბანგკოკში სულ ათი სპორტსმენით ჩავიდა და სპორტის ცხრამეტი სახეობიდან ოდენ სამში მიიღო მონაწილეობა. ყველაზე მეტნი (შვიდი სტუდენტი) ძიუდოისტები იყვნენ და, ცხადია, დელეგაციის ხელმძღვანელები ყველაზე მეტად იმედებს მათზე ამყარებდნენ.

მართლაც, მხატვრულ ტანვარჯიშეებსა და ერთ მოფარიკავეზე უკეთ ბიძინა მოხევიშვილის ბიჭები გამოვიდნენ, მაგრამ ქართული ძიუდოს ბოლოდროინდელი წარმატებების გათვალისწინებით, უნივერსიადაზე მოპოვებული ორი მედალი დიდ მიღწევად მაინც არ უნდა ჩაითვალოს. მით უმეტეს, გუშინდელ შედეგს თუ გავითვალისწინებთ.

ინდივიდუალური პირველობის ჩემპიონ-პრიზიორების გამოვლენის შემდეგ გუნდური ჩემპიონატი გაჩაღდა. თექვსმეტი ნაკრები მერვედფინალში დაწყვილდა. საქართველოს პირველ მეტოქედ ბელარუსი ერგო, ხოლო თუ აჯობებდა, მერე იაპონიაზე გადიოდა. სამწუხაროდ, ჩვენებურები 2:3 დამარცხდნენ და ოქროს შანსი დაკარგეს. ცოტა ხანში კი ბრინჯაოსიც — ბელარუსს იაპონიამ სძლია.

აქვე ინდივიდუალური მედლებიც გავიხსენოთ. ყველაზე უკეთ ქართული გუნდიდან გრიგოლ შინჯიკაშვილმა (81 კგ) იჭიდავა. ტატამზე ხუთჯერ გავიდა, ხუთჯერვე მოიგო (სამჯერ იპონით) და ჩემპიონი გახდა. მეორე მედალი კი აბსოლუტურ წონაში ადამ ოქრუაშვილმა მოიპოვა. მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორმა უნივერსიადაც ბრინჯაოთი ჩაამთავრა. ბანგკოკიდან ორი მედლის წამოღებაც შეეძლო, მძიმე წონაში რეპეშაჟის ფინალი რომ არ წაეგო. საპრიზომდე ერთი ნაბიჯი დააკლდა მინდია ხომიზურსაც (66 კგ), დამამშვიდებელ ეტაპზე მანაც გადამწყვეტი ბრძოლა წააგო და საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა.

მხატვრულად ტანმოვარჯიშეებმა თათია დონაძემ და ქეთი ხატიაშვილმა მრავალჭიდის ჯამში მეთორმეტე და მეთოთხმეტე შედეგები აჩვენეს. მოფარიკავე ანზორ ალბრეხტმა კი ჯგუფური ეტაპის გადალახვის შემდეგ პლეი ოფის პირველსავე ეტაპზე წააგო.

გუშინდელი მონაცემებით საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მე-40 ადგილს ინაწილებდა ალჟირთან, კუბასთან, ინდოეთთან და უზბეკეთთან ერთად. საბოლოო ცხრილში დიდი გადაადგილებები აღარ მოხდება, რადგან ჩასატარებელი მხოლოდ სამი სახეობის ფინალებიღა დარჩა.

**ოთარ მხეიძე**



გრიგოლ შინჯიკაშვილი

### პლაჟის ფრენბურთი

# ჩვიდმეტიანები



**პლაჟის** ფრენბურთში, ფინურ ალდენში მიმდინარე საპრიზო 200 ათას დოლარიანი მსოფლიო ტური უქართველბრაზილიელებოდ გრძელდება.

ორივე ქართულმა წყვილმა გეორ-გიამ და საქა-რთველომ ერთნაირად ითამაშეს და მე-17 ადგილები დაიკავეს.

აქედანვე ვთქვათ, რომ კაცებიც და ქალებიც ძირითად ბადეში მოხვდნენ, პირველი წრის მატჩები მოიგეს, მაგრამ მერე მიჯრით ორ-ორი შეხვედრა წააგეს და ტურნირიც დაასრულეს.

გეორ და გიამ თავიდან ყაზახები, საულკო-როვკინი დაამარცხეს, მერე ისტორიული თანამემამულეებთან ჰარლისთან და პედროსთან ვერაფერს გახდნენ, ბოლოს კი ტურნირზე მე-3 ნომრად განთესილ გერმანელებთან რეკერმანთან და ურბაცკასთან წააგეს.

ქალებმა, საქა და რთველომ პირველ წრეში მასპინძლების ეტელაო-ლეტონენის ბარიერი დაძლიეს, მეორე-მესამე წრეში კი ჯერ ბერძნებთან არვანიტი-კარადასაუსთან, მერე შვეიცარიელებთან კუნთან და შეერთან დამარცხდნენ.

საბოლოოდ, როგორც ვთქვით, გეორ-გიამ და საქა-რთველომ მე-17 ადგილები დაიკავეს, 120-120 სარეიტინგო ქულა და 3-3 ათასი დოლარი მოიგეს.

**ბაჩო სვანიძე**

### ველორბოლა

# კიოლეკის დუბლი

**„T-მობაილის"** გერმანელმა მრბოლმა გერალდ კიოლეკმა რიგით მე-10 „გერმანიის ტურზე" ზედიზედ მეორე სპრინტერული ეტაპი მოიგო.

კიოლეკმა ჯერ ლანგენფელდსა და კუფშტეინს შორის 175 კილომეტრზე გაჭიმულ მე-6 ეტაპზე იპირველა, შემდეგ კი კუფშტეინიდან რაგენსბურგამდე სავალ 192-კილომეტრიან გზაზე იმარჯვა. თანაც, მეორე ჯერზე კიოლეკმა სპრინტის ისეთ დიდოსტატს აჯობა, როგორიც ვეტერანი გერმანელი ერიკ ცაბელია.

საერთო ჩათვლაში სურათი არ შეცვლილა. შვიდი ეტაპის შემდეგ წინ, კვლავაც დანიური CSC-ის გერმანელ მრბოლი იენს ფოიგტია, ვისაც 33 წამით ჩამორჩება „კაისე დეპარნის" ესპანელი დავიდ ლოპეს გარსია.

### ავტორბოლა

# გასაყიდ სპაიკერს გაქრობა არ ემუქრება

**დიდი შანსია,** რომ ერთი წლის წინ „სპაიკერ F1"-ის სახელით დარეგისტრირებული „სამეფო რბოლების" მაჩანჩალა გუნდი ბოლო პერიოდში მესამედ გაიყიდოს.

ეს საჯინიბო არის ყოფილი „ჯორდანი", რომელიც 2004 წლის ბოლოს რუსული წარმოშობის კანადელმა მულტიმილიონერმა ალექს შნაიდერმა შეიძინა და ორი სეზონიც „მიდლენდის" სახელით გამოდიოდა, შარშან კი მთელი თავისი ავლადიდებით საგზაო მანქანების მწარმოებელმა ჰოლანდიურმა ფირმამ — „სპაიკერ ქარს N.V." — იყიდა.

მასშტაბური პროექტის მიზანი იყო ორმხრივი სარგებლის მიღება: საპირველფორმულო მსოფლიოს ჩემპიონატში გუნდის მონაწილეობა საგზაო „სუპერქარების" დამატებითი რეკლამა იქნებოდა, ხოლო მანქანების გაყიდვისგან მიღებული მოგება საჯინიბოს მოხმარდებოდა.

ამ ერთი შეხედვით პერსპექტიულმა ნაბიჯმა არ გაამართლა — გასაღება არ გაზრდილა და პირიქით, კომპანიის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, გუნდის ფული (ორი მილიონი ევრო) გამოეყენებინა, რათა „სპაიკერ ქარი" არ „ჩაძირულიყო".

ფინანსური კრიზისიდან თავის დასაღწევად კომპანიამ გადაწყვიტა, „სპაიკერ F1"-ის აქციების პაკეტი გაყიდოს და შემოსული თანხა საკუთარი მატერიალური ვითარების გაჯანსაღებას მოახმაროს. ბუნებრივია, მაშინვე გავარდა ხმა საჯინიბოს შესაძლო ლიკვიდაციაზე.

„სპაიკერ F1"-ის აღმასრულებელმა დირექტორმა კოლინ კოლესმა ქომაგები და სპონსორები დაამშვიდა, ეს მანევრი გუნდის საქმეებზე გავლენას არ მოახდენს და ჩემპიონატში მონაწილეობას უეჭველად გავაგრძელებთო:

„ცნობა გაყიდვის შესახებ გუნდის დაუყოვნებლივ დახურვის საფრთხედ არ უნდა აღვიქვათ. ეს „სპაიკერ ქარის" რეფინანსური სტრატეგიის ნაწილია და ადრიან სუტილი და საკონ იამამოტო გამოვლენ როგორც ერთი კვირის შემდეგ თურქეთის გრან პრიზე, ასევე სეზონის ყველა დარჩენილ რბოლაში".

„ფერარის" ძრავიან „სპაიკერს" წლევანდელ 11 რბოლაში ქულაც ვერ მოუპოვებია. ჩემპიონატი ჰოლანდიელმა კრისტიან ალბერსმა და გერმანელმა სუტილმა დაიწყეს, მაგრამ შუა სეზონში სპონსორებისგან მიტოვებული ალბერსის ნაცვლად საქეს ახლა იაპონელი იამამოტო უზის.

**გია ახალაძე**

### ჩოგბურთი

# ენინის კანადა ტორონტოშია

**კაცები**
მონრეალი. კანადა.
მასტერსის სერია. ხარდი.
საპრიზო 2 450 000 $

**მესამე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) 7:6 7:5; **დავიდ ფერერი** (16, ესპანეთი) — ენდი როდიკი (3, აშშ) 7:6 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (5, რუსეთი) — ტომაშ ბერდიხი (10, ჩეხეთი) 6:3 6:2; **ჯეიმს ბლეიკი** (9, აშშ) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:1 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:3 6:3; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 7:5 3:6 7:5; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:2 6:2; **სემ ქუერეი** (აშშ) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:3 7:5.



კარიერის 50-ე ტიტულზე დაგეშილმა როჯერ ფედერერმა ძნელ ბრძოლაში აჯობა უტეხ კვიპროსელ მარკოს ბაღდატისს და მეოთხედფინალში გავიდა. 38-გრადუსიან სიცხეში ბაღდატისის ჯობნა იოლი მართლა არ ყოფილა. პირველ პარტიაში კვიპროსელს ოთხი სეტ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ შვეიცარიელმა ოთხივე გააბათილა, მერე ტაიბრეიკზე სეტი მოიგო და მეორე პარტიის ბოლოს კი გადამწყვეტი ბრეიკიც გააკეთა.

„ძნელი და მძიმე თამაში იყო და კმაყოფილი ვარ, რომ მოვიგე და წინ წავიწიე" — ამბობდა ნამატჩევს შვეიცარიელი, ვისი შემდეგი მეტოქეც ესპანელი ნიკოლას ალმაგროა.

ამასობაში ფედერერს შესაძლო კონკურენტები შემოეფანტნენ — რაფაელ ნადალისა და ნოვაკ ჯოკოვიჩის შემდეგ ენდი როდიკიც დამარცხდა.

არადა, როდიკისთვის ცინცინატური მაგარსაფარი აქამდე უალრესად იღბლიანად ითვლებოდა — 2002 წელს მეოთხედფინალში გავიდა, 2003 წელს ჩემპიონი გახდა, 2004 წელს ნახევარფინალში იყო, 2005 წელს ფინალში ფედერერთან დამარცხდა და შარშან კი მეორედ იჩემპიონა. და აი, ასეთი სტატისტიკის მქონე ენდიმ მესამე წრეში ვერაფერი მოუხერხა დავიდ ფერერს. თანაც, ბაღდატისის არ იყოს, პირველ პარტიაში როდიკსაც ჰქონდა სეტპოინტები, მაგრამ ვერ გამოიყენა და დაისაჯა კიდეც.

„ჩემი თამაში შორს იყო ნორმალურისგან და ეს არ მომეწონა. ძალიან საშუალო დონის ჩოგბურთი ვაჩვენე, მაგრამ საპანიკო არაფერია. საბედნიეროდ, ვიცი, თუ რა შეცდომებს ვუშვებდი" — იხტიბარს არ იტეხდა ნამატჩევს როდიკი.

ფერერი მეოთხედფინალში რუს ნიკოლაი დავიდენკოს შეხვდება, რომელმაც მეექვსე პირად შეხვედრაში მეექვსედ აჯობა ჩეხ ტომაშ ბერდიხს.

ალმაგროსა და ფერერის გარდა მეოთხედფინალში კიდევ ერთი ესპანელია — ვეტერანი კარლოს მოია, რომელიც ბოლო ხანებში ძველებური ეშხით თამაშობს და მესამე წრის უაღრესად დაძაბულ მატჩში ახალ არგენტინელს, ხუან მარტინ დელ პოტროს გაუსწორდა.

მოიას შემდეგი მეტოქე ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტია, რომელიც სულ უფრო დამაჯერებლად ირჯება და კიდევ ერთი მეოთხედფინალური წყვილი კი ამერიკელებმა ჯეიმს ბლეიკმა და სემ ქუერიმ შეადგინეს.

**ქალები**
კერსონი. აშშ. ხარდი
საპრიზო 600 000 $

**მესამე წრე**

**ჟუსტინ ენენი** (1, ბელგია) — შუაი პენგი (ჩინეთი) 7:5 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (2, სერბეთი) — სიბილ ბამერი (13, ავსტრია) 6:2 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (3, რუსეთი) — მეგან შონესი (აშშ) 6:3 6:2; **ნადია პეტროვა** (6, რუსეთი) — პატი შნიდერი (10, შვეიცარია) 6:4 6:1; **მარიონ ბარტოლი** (7, საფრანგეთი) — დინარა საფინა (9, რუსეთი) 6:2 6:7 6:0; **ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) — შაჰარ პირი (11, ისრაელი) 6:4 6:3; **ტატიანა გოლოვინი** (12, საფრანგეთი) — ფრანჩესკა შიავონე (იტალია) 6:2 6:0; **ძი იანი** (ჩინეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:3 5:7 7:6

კანადაში ქალთა და კაცთა სუპერტურნირები მონაცვლეობით ტარდება ტორონტოსა და მონრეალში. ანუ, წლეულს და საერთოდ, ყველა კენტ წელიწადს ქალებს ტორონტო მასპინძლობს, კაცებს კი მონრეალი, ხოლო ლუწ წლებში პირიქით არის. ეს შესავალი კი იმიტომ გავაკეთეთ, რომ მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ბელგიელ ჟუსტინ ენინს კანადა ტორონტოში, ანუ კენტ წლებში უხარია — 2003 წელს ჩემპიონი იყო, 2005 წელს ფინალში დამარცხდა თავისივე თანამემამულე კიმ კლაისტერსთან და ნაკლებზე, არც წლეულს უნდა იყოს თანახმა. ყოველ შემთხვევაში, ჟუსტინი ჯერჯერობით უპრობლემოდ მიიწევს წინ და მისი შეჩერება ვერც ჩინელმა შუაი პენგმა შეძლო.

ერთი ჩინელი მეოთხედფინალში მაინც გაძვრა — ტურნირის შარშანდელი ჩემპიონის, ანა ივანოვიჩის მძლეველმა ძი იანმა სერბს ბერძენი ელენი დანილიდუ მოაყოლა უკან.

მძლავრი თამაშით, ყოველგვარი პრობლემების გარეშე უწიეს მეოთხედფინალს სლავებმა — სერბმა იანკოვიჩმა და რუსებმა, კუზნეცოვამ და პეტროვამ.

მეოთხედფინალშია სამი ფრანგიც და ვირჟინი რაზანოსა და ტატიანა გოლოვინის კომპანიაში მარიონ ბარტოლი უნდა გამოვყოთ, ვინც უიმბლდონის სენსაციური ფინალისტობის შემდეგ პირველად მოიგო მიჯრით ორი მატჩი.

**კახა ლომჯარიძე**

# ლადომ დუზინი შეავსო



**ლადო ჩიხლაძის** წარმატებული სერია 12 მოგებულ მატჩამდე ავიდა. მიყოლებით ორი თბილისური ტურნირის მომგებმა ჩოგბურთელმა გერმანული მიუნხენის თიხაზე მეორე მეტოქეც ჩამოიცილა და მეოთხედფინალს უწია.

ისევე, როგორც პირველ წრეში, ლადოს ამჯერადაც მასპინძელთან მოუწია თამაშმა და 19 წლისა და რეიტინგში 710-ე ადგილზე მყოფ მარკ ზიბერს ორ სეტში 6:2 7:6 სძლია.

მიუნხენში პირველ ნომრად განთესილი ჩიხლაძე მეოთხედფინალშიც გერმანელს შეხვდება — მე-8 ნომრად განთესილ 20 წლის დავიდ კლიერს, ვისაც ATR-ის კლასიფიკაციაში 597-ე პოზიცია უჭირავს.

სამწუხაროდ, გერმანიაში მოთამაშე მეორე ჩვენებური მეოთხედფინალში ვერ გავიდა. ბილეფილდის თიხნარზე მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის მეორე წრეში მანანა შაფაქიძე 5:7 7:5 2:6 დამარცხდა მე-8 ნომრად განთესილ გრძელსახელიან რუმინელთან, ანა-მარია-ალექსანდრა სერესთან.



# ირლანდიას სახე გაუტეხეს

**ირლანდიის** ნაკრების კაპიტანი, სული და გული, სამშობლოში „ღმერთად" წოდებული ბრაიან ოდრისკოლი შეიძლება, მსოფლიოს თასის მიღმა დარჩეს.

ბრაიან ოდრისკოლმა საფრანგეთში სანაკრებო შეკრებისას უბრალო საწვრთნელი მატჩის დროს ყვრიმალის ძვალი გაიტეხა. ცხადია, ირლანდიელთა სახე და ლიდერი თავისით არ გაიტეხდა ძვალს, მისი ცოდვა ტონგელი მორკინალის მიკაერა ტევატას კისერზეა, უფრო ზუსტად კი მუშტზე. ტევატამ ისე აძგერა თავისი რკინისებური მუშტი ოდრისკოლს, რომ კაცს ეგონებოდა, მოსისხლეები არიანო. ამბავი კი მსოფლიოს თასის წინა მოსათელ მატჩზე მოხდა, ირლანდია ფრანგულ კლუბ „ბაიონს" ეთამაშებოდა.

„საშინლად გაბრაზებული ვარ, ადგილს ვერ ვპოულობ… რაგბიში უხეშობა და სიხისტე აბა, ვის უკვირს, მაგრამ რაც დღეს ვნახე, ყველანაირ ზღვარს სცილდება. მეტოქე ისე გვეთამაშა, თითქოს მათი ოჯახების ამოწყვეტას ვაპირებდით, ოდრისკოლზე კი პირველივე წუთებიდან ნადირობდნენ" — ცოფებს ყრიდა ნამატჩევს ირლანდიელთა მწვრთნელი ედი ოსალივანი.

ოდრისკოლმა გუშინდელი ღამე ტრავმატოლოგიურ კლინიკაში გაატარა. ყვრიმალის ძვლის მოტეხილობის გარდა, ნეკნებიც დაჟეჟილი და ბარძაყის კუნთზე სისხლჩაქცევები აქვს.

ექიმების ვარაუდით, ოდრისკოლს მინიმუმ ორკვირიანი უქმობა სჭირდება, მსოფლიოს თასი კი სამ კვირაში იწყება. ოსალივანი ალბათ მაინც არ ამოშლის „ღმერთს" სამსოფლიოსთასო სიიდან, მაგრამ საკითხავია, შეძლებს თუ არა თამაშს ოდრისკოლი.

# რა დროს რაგბია, ბიჭი კვდება

**გუშინ** საბოლოოდ გადაწყდა, რომ სამ კვირაში დასაწყებ მსოფლიოს თასზე ვერაფრით ირაგბებს სამხრეთ აფრიკის ძირითადი მორკინალი პიერ სპისი. 22 წლის ფლანკერს ერთი თვის წინ მკერდი ასტკივდა, სუნთქვა ეკვროდა და დროდადრო სისხლს ახველებდა.

სამხრეთ აფრიკის ნაკრების ექიმმა იუსუფ ჰასანმა სპისი რამდენჯერმე გასინჯა და დაასკვნა, რომ ბიჭს სისხლი უსქელდებოდა და მოედანზე რომ არ მომკვდარიყო, კონტაქტურ სპორტში მონაწილეობა აუკრძალა. მიუხედავად ამისა, „ქურციკების" მწვრთნელმა ჯეკ ვაიტმა იხტიბარი არ გაიტეხა და ჯეელი მორკინალი მაინც ჩაწერა სამსოფლიოსთასო განაცხადში.

ამ ერთი თვის განმავლობაში სპისი რამდენიმე კლინიკაში გასინჯეს, ბოლოს კი კომპიუტერული ტომოგრაფია ჩაუტარეს და გაარკვიეს, რომ მას მემკვიდრეობით ერგო თრომბისკენ მიდრეკილება და თუ დიდი დატვირთვები ექნება, ნებისმიერ წამს შეიძლება გული გაუჩერდეს.

ჯერჯერობით აფრიკელ მორკინალს სამთვიანი ინტენსიური მკურნალობა დაუნიშნეს და რაგბის თამაში სამუდამოდ აუკრძალეს, მაგრამ სპისის ოჯახი და კლუბი, წლევანდელი ზე-14-ის ჩემპიონი „ბლუ ბულზი" არ ნებდებიან და ბიჭის ევროპაში გამოსაკვლევად ჩაყვანას აპირებენ. ერთი კი ცხადია, სპისი ვერაფრით ითამაშებს წლევანდელი მსოფლიოს თასზე, მის ადგილს კი ალბათ, მისივე თანაკლუბელი ჟაკ კრონხე დაიკავებს.






**90-იან წლებში** ინგლისის ნაკრების კაპიტანი უილ ქერლინგი თავს არ ანებებს „ვარდების" უბერებელ მორკინალს ლოურენს დალალიოს და როგორც კი შესაძლებლობა მიეცემა, მაგრად აძაგებს.

ახლა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ქერლინგმა ეს თქვა: „მე რომ სანაკრებო კარიერას ვასრულებდი, დალალიო მაშინ იწყებდა ნაკრებში თამაშს. ჩემი კაპიტნობის დროსაც თამაშობდა და მასთან ტკბილი ურთიერთობა არასდროს მქონია. ის ახალგაზრდობიდანვე თავხედი იყო. ეშტონს ვურჩიე, დაბერებული დალალიო არ წაეყვანა მსოფლიოს თასზე, რადგან გუნდში არეულობა შეაქვს. ეშტონმა არ დამიჯერა, ახლა კი ბიჭებს ვურჩევ, დალალიოს მაგრად დაუდგნენ, ქეჩოში ხელი წაავლონ და ყიამყრალობა არ გაабედინონ. ერთიცაა, თუ დალალიო კაპიტანი არ იქნება, არეულობის მოწყობას ვერ გაბედავს".

ინგლისელი ჟურნალისტები ეშტონს და დალალიოსაც შეეხმიანენ, მაგრამ ორივემ იუარა კომენტარის გაკეთება, ქერლინგი ამის ღირსიც არ არისო.

# სომერვილმა მსოფლიო დაინახა

**სამშაბათს** მსოფლიოს თასის მონაწილე ოცივე ნაკრების უფროსობამ რაგბის საერთაშორისო საბჭოს განაცხადები საბოლოოდ უნდა დაუდასტუროს. აქამდე ზოგმა წინასწარი, ზოგმა კი დაზუსტებული განაცხადი აფრინა მთავარ სარაგბო ოფისში.

ახალი ზელანდიის მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ კი წინასწარ განაცხადს შენიშვნად დაურთო, რომ თუ „კრუზეიდერსის" ბურჯი გრეგ სომერვილი ბოლო ვადამდე ვერ მოკეთდა, მას ჯონ შოლგერი შეცვლისო.

სომერვილმა ორი კვირის წინ მოირჩინა ფეხის ტრავმა, მაგრამ მერე ქვეყნის პირველობის პირველივე მატჩში თვალში მეტოქის თითი მოხვდა და გარსი დაუზიანდა. ჰენრიმ ბოლომდე უცადა სომერვილს, რომელმაც საუკეთესო ექიმებს ანდო დაზიანებული თვალი და გუშინ სრულიად სალსალამათი გამოცხადდა ნაკრების ბანაკში. ჰენრიმაც დაუფასა უტეხობა და მსოფლიოს თასის განაცხადში შეიყვანა.

**ბაჩო სვანიძე**







დონ კინგი ზურგიდანაც იცნობა

# კინგის საქმე

## ჯონსი ტრინიდადს იანვარში დაეჯახება

**თანამედროვე** კრივის დიდოღრაშმა, ყველაზე ცნობილმა და გაქნილმა პრომოუტერმა დონ კინგმა მორიგი ხმაურიანი ჩხუბის საქმე მოაკვარახჭინა.

ფლორიდაში მდებარე დონ კინგის საპრომოუტერო კომპანიის ოფისში ხელი მოეწერა მომავალი წლის იანვარში გასამართ ორთაბრძოლას ბოლო ათწლეულის ორ გამორჩენილ მოკრივეს, ქვემძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონ როი ჯონს-უმცროსსა და სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ყოფილ ჩემპიონ ფელიქს ტრინიდადს შორის.

ტრინიდადიცა და ჯონსიც ის აღარ არიან, რაც იყვნენ და რამდენჯერმე რინგიდან წასვლის შესახებაც გააკეთეს განცხადება, მაგრამ მათი სახელები ჯერაც ქუხს და გასაღებადია, მით უმეტეს დღეს, როდესაც საკრივო სამყარო კაშკაშა მოკრივეების ნაკლებობას განიცდის.

ამერიკელ ჯონსსა და პუერტორიკოელ ტრინიდადს შორის ჩხუბი გარდამავალ, 170 ფუნტიან (77,1 კგ) წონით კატეგორიაში შედგება, ოღონდაც ჯერ არც ზუსტი თარიღია ცნობილი, არც ორთაბრძოლის ადგილი და არც ინვესტორი ჩანს, ვინც ამ შეხვედრაში ფულს ჩადებს. მაგრამ კინგი იმედიანადაა — მთავარია, ხელმოწერილი კონტრაქტი არსებობს და ადგილს, დროსა და ფულს ყოველთვის გამოვნახავთო.

თავად კინგის თქმით, ხელმოწერისას ჯონსი ფლორიდაში არ იმყოფებოდა. იმ დროს, როდესაც ტრინიდადმა თავისი ხელმოწერით დაადასტურა თანხმობა მომავალ ჩხუბზე, ჯონსი ტელეფონთან იყო, ასე ათანხმებდა პირობებს და რამდენიმე საათის შემდეგ გაფრინდა ფლორიდაში, რათა კინგს შეხვედროდა.

მოკლედ, კიდევ ერთი საინტერესო ორთაბრძოლის საკითხი გადაწყდა და ოღრაში კინგი დანარჩენს მოუვლის — როგორც თავად თქვა, დროსაც შეარჩევს, ადგილსაც და საჭირო ფულსაც გამოძებნის.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ტორტლაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვატა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პირტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge